



European Parliament

OSCE ODIHR

Organization for Security and Cooperation in Europe  
PARLIAMENTARY ASSEMBLY

Parliamentary Assembly  
Assemblée parlementaire

COUNCIL OF EUROPE  
CONSEIL DE L'EUROPE

## საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი

მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

### წინასწარი დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ 26 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ამომრჩევლებს 18 კანდიდატს შორის გასაკეთებელ ფართო არჩევანს სთავაზობდა, კენჭისყრის დღემ დამკვიდრებული პოლარიზაციის ფონზე ჩაიარა, რომელსაც ბოლო დროს მიღებული კანონის და ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე მისი ზეგავლენის გამო მზარდი შეშფოთება აზიანებდა. საარჩევნო სუბიექტებს ზოგადად შეეძლოთ თავისუფლად ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია მაშინ, როცა კამპანიის რიტორიკა და ვიზუალური მასალა კიდევ უფრო აღრმავებდა განხეთქილებას. ცნობები ამომრჩეველთა, განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმებულთა, ზეწოლის შესახებ მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ფართო მასშტაბს ინარჩუნებდა. აღნიშნულმა, კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ინტენსიურ აღრიცხვასთან ერთად, შეშფოთება გამოიწვია ზოგიერთი ამომრჩევლის გამო, რომ ისინი ვერ შეძლებდნენ ხმის მიცემას დასჯის შიშის გარეშე. საკანონმდებლო ჩარჩო ადეკვატურ ბაზას იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, მაგრამ ბოლო დროს განხორციელებული ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რაც შეშფოთებას ზრდის კანონმდებლობის პოტენციურად პოლიტიკური სარგებლისთვის გამოყენების კუთხით. არჩევნების სამზადისი კარგად იყო ადმინისტრირებული მათ შორის განხორციელდა ამომრჩეველთა ინტენსიური ინფორმირება ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. ფინანსურ რესურსებს შორის არსებული მნიშვნელოვანი დისბალანსი და დაკავებული თანამდებობით სარგებლობის შეუსაბამო უპირატესობა ისედაც უთანასწორო საასპარეზო პირობებს კიდევ უფრო უთანასწოროს ხდიდა. პოლარიზებული მედიაგარემო და კერძო მედიასაშუალებების პოლიტიკური პროპაგანდის მიზნით ინსტრუმენტალიზაცია ზეგავლენას ახდენდა ახალი ამბების გაშუქებაზე, რაც ამომრჩევლებს ხელს უშლიდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის ეფექტურობა დაზიანდა შეზღუდული აღსრულებითა და ზედამხედველი ორგანოს მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის კუთხით არსებული შეშფოთებით. პოლიტიკურ პარტიათა სიებსა და წინასაარჩევნო კამპანიაში ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე ნათლად წარმოაჩენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ადეკვატური ჩართულობის ინტენსიური ვალდებულების აღების საჭიროებას. არჩევნების დღე ზოგადად პროცედურული თვალსაზრისით კარგად იყო ორგანიზებული და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაგრამ ხასიათდებოდა დაძაბულობით, ხმის მიცემის ფარულობის ხშირი კომპრომეტირებითა და პროცედურების არათანმიმდევრულად დაცვის რამდენიმე შემთხვევით, და ასევე ამომრჩეველთა დაშინებისა და ზეწოლის შესახებ შეტყობინებებით, რაც უარყოფითად აისახებოდა პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

ეს არჩევნები სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული პირველი არჩევნები იყო. ეს არჩევნები ასევე იყო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ ჩატარებული პირველი არჩევნები მიუხედავად

იმისა, რომ გაწევრიანების პროცესი ევროკავშირმა დემოკრატიის თვალსაზრისით უკუსვლის გამო 2024 წლის ივნისის შემდეგ დეფაქტო შეაჩერა. პოლიტიკური ლანდშაფტი ხასიათდებოდა უწყვეტი და დამკვიდრებული პოლარიზებითა და მძაფრი ანტაგონიზმით, რომლის ერთი მხარეს მთავრობა იდგა, მეორე მხარეს კი ოპოზიციის ნაწილი და პრეზიდენტის აპარატი, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენის გამო მზარდი კრიტიკული რიტორიკითა და წლის პირველ ნახევარში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ სადავო კანონის მიღების გამო გამოწვეული ფართომასშტაბიანი დემონსტრაციებით. ბევრმა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ შეშფოთება გამოთქვა ამ კანონის მიღების შემდეგ გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებებზე მისი სავარაუდო უარყოფითი ზეგავლენისა და, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელი მედიის სტიგმატიზების გამო. წინასაარჩევნო კამპანიის გზავნილებში გეოპოლიტიკური საკითხები ჭარბობდა; მმართველმა პარტიამ მასსა და ოპოზიციას შორის გასაკეთებელი არჩევანი მშვიდობასა და ომს შორის გასაკეთებელ არჩევანს გაუთანაბრა, ოპოზიციურმა პარტიებმა კი ეს არჩევნები საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელ რეფერენდუმად წარმოადგინა.

მთლიანობაში, საკანონმდებლო ჩარჩო ადეკვატურ ბაზას იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, თუმცა ბოლო დროს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა სავსებით შეცვალა წარსულში მოქმედი ზოგიერთი დადებითი ნორმა, როგორიც არის გენდერული კვოტირებისა და სხვა დროებითი საგანგებო ზომების გაუქმება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებები, რაც არ შეესაბამება ODIHR-ის რეკომენდაციებს. მაშინ, როცა წინა წლებში ინკლუზიური საჯარო დისკუსიების შედეგად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს ითვალისწინებდა, საკანონმდებლო ჩარჩოს ხშირი ცვლილება (20-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება 2020 წლის შემდეგ) მათ შორის არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე და ფართო პარტიათაშორისი მხარდაჭერის გარეშე მიღებული ზოგიერთი ცვლილება ძირს უთხრიდა მის სტაბილურობას და შეშფოთების საფუძველს ზრდიდა სავარაუდო პოლიტიკური სარგებლის მისაღებად მისი ბოროტად გამოყენების გამო, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს (OSCE) წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. გარდა ამისა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) და ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რამდენიმე უცვლელი რეკომენდაცია კვლავაც გაუთვალისწინებელია, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობასთან, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის ყოვლისმომცველი რეგულაციების შემოღებასთან, წინასაარჩევნო კამპანიისა და კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობასთან, მედიასთან და საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩო ძალზედ კომპლექსურია, ზოგიერთ ასპექტში სიცხადე აკლია და კვლავაც შეიცავს ხარვეზებსა და შეუსაბამობებს, რაც ზოგჯერ დაინტერესებული მხარეების მხრიდან მის განსხვავებულად იმპლემენტაციას იწვევს. ბევრი დაინტერესებული მხარე ასევე ეჭვებელ აყენებდა კანონის ამოქმედებაზე პასუხისმგებელი ცალკეული სახელმწიფო უწყების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების ჩატარების ტექნიკური ასპექტები ეფექტურად და გამჭვირვალედ წარმართა. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია  
საქართველო, საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი  
მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

პროცესში ჩართული მხარეები ნდობას გამოხატავდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის ტექნიკური და ორგანიზაციული კომპეტენციების მიმართ, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის მიმართ საზოგადოებაში გავრცელებულ აღქმაზე უარყოფითად იმოქმედა ბოლოდროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წევრთა შერჩევისა და წარდგენისა პროცესზე კონტროლის უფლებამოსილება მმართველ პარტიას მიანიჭა, ოპოზიციის მიერ დასახელებული თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის გაუქმებამ, გადაწყვეტილების მიღების პროცესმა და ასევე, არაპარტიულ წევრებსა და მმართველ პარტიას შორის სავარაუდო კავშირებმა. ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგულარულად, პირდაპირ ეთერში გადასცემდა სხდომებს და დაუყოვნებლივ აქვეყნებდა ყველა რელევანტურ მასალას, რაც ხელს უწყობდა გამჭვირვალობის შენარჩუნებას და ამომრჩეველთა ინფორმირების ინტენსიურ კამპანიებს.

ისტორიაში პირველად საარჩევნო უბნების უმრავლესობაში გამოყენებული იყო ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმების დამთვლელი და ასევე, წინასწარი შედეგების დამდგენი და გადამცემი ელექტრონული მოწყობილობები. ამ ტექნოლოგიების შემოღებას დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა მხარს უჭერდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ დამატებითი ძალისხმევა გაიღო ფართოდ გავრცელებული მცდარი წარმოდგენების გასაქარწყლებლად, რომ თითქოსდა, ეს მოწყობილობები გამოყენებული იქნებოდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევისთვის. ძირითად დაინტერესებულ მხარეებს არ მიეცათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ აუდიტის პროცესს და შეზღუდულად მიუწვდებოდათ ხელი აუდიტან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე, რაც ზღუდავს გამჭვირვალობას და არ შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას.

საერთაშორისო სტანდარტებისა და ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ მოქალაქეები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდაჭერის მიმღებად არიან ცნობილი და სტაციონარში არიან მოთავსებული ვერ სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ მხარეთა უმრავლესობას არ გამოუთქვამს განსაკუთრებული შეშფოთება ამომრჩეველთა სიების სიზუსტისა და ინკლუზიურობის თაობაზე, თუმცა ზოგიერთი მათგანი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მისამართზე მრავალობითი რეგისტრაციის რამდენიმე შემთხვევას, როდესაც კონკრეტულ მისამართზე მცხოვრები პირებისთვის უცნობი ამომრჩევლები იყვნენ რეგისტრირებული. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩევლებს რეგისტრაციის გადამოწმებისა და სარეგისტრაციო მონაცემებში შესწორებების შეტანის რამდენიმე ალტერნატიული გზა შესთავაზა, როგორც პირისპირ ასევე ონლაინ.

პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია მთლიანობაში ინკლუზიურად წარიმართა; ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 18 პოლიტიკური პარტიის სიებში 1,185 კანდიდატი დაარეგისტრირა. ხანგრძლივი ბინადრობის მოთხოვნა, კანდიდატად დარეგისტრირების უფლებაჩამორთმეული პირებისთვის დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, მსჯავრდებული არიან და დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის რეგულაციების ნაკლებობა, ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია  
საქართველო, საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი  
მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

---

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ნორმებით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, 2024 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გააუქმა პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სიებში სავალდებულო გენდერული კვოტირება და ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის ხელშემწყობი სხვა დროებითი საგანგებო ზომები, რასაც შედეგად ამ არჩევნებზე კანდიდატთა შორის ქალთა წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი შემცირება მოჰყვა. პოლიტიკური პარტიების კანდიდატთა სიებში ქალები დაახლოებით 29 პროცენტს შეადგენდნენ, რაც 2020 წელს ჩატარებული არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვანი ვარდნაა, და მათი უმრავლესობა არაარჩევით თანამდებობებზეა წარმოდგენილი. არჩევით თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე, რასაც თან ერთვის პოზიტიური საკანონმდებლო ზომების გაუქმება, დამატებით ნებატიურ ზეგავლენას ახდენს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობაზე. პოლიტიკაში ჩართული ქალები კვლავაც უპირისპირდებიან დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, პოლიტიკურ პარტიებში არსებულ გამოწვევებსა და ძალადობის სხვადასხვა ფორმას. პოლიტიკური პარტიების პროგრამებში შესამჩნევი იყო კონკრეტულად ქალებზე მიმართული გზავნილების სიმცირე და არ ითვალისწინებდა ქალთა მონაწილეობას მათ წინასაარჩევნო კამპანიებში. დაბალი რანგის საარჩევნო კომისიების წევრთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ, თუმცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის 17 წევრიდან მხოლოდ 4 იყო ქალი.

წინასაარჩევნო კამპანია კონკურენტულ გარემოში, მაგრამ ნაკლებად ინტენსიურად წარიმართა; კანდიდატებს ზოგადად შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად წარემართათ წინასაარჩევნო კამპანიები, მაგრამ ანგარიშები ამომრჩეველთა, განსაკუთრებით კი საჯარო სექტორში დასაქმებულთა და ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების დაშინების, იძულებისა და ზეწოლის შესახებ შემფოთებას ზრდის, რადგან ზოგიერთმა ამომრჩეველმა შესაძლოა თავისუფლად ვერ გააკეთოს არჩევანი და შეეშინდეს ხმის თავისუფლად მიცემა, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა ღიად განაცხადეს თავისი განზრახვის შესახებ, არჩევნების დასრულების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიემართათ სარჩელით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნით, რადგან მათი მოსაზრებით ამ პარტიის პოლიტიკური ხედვა ქვეყნისთვის დამანგრეველია, და საჯარო განცხადებები გააკეთეს მირითადი ოპოზიციის აკრძალვის თაობაზე. წინასაარჩევნო კამპანიის რიტორიკისა და ვიზუალური მასალის ძალზედ დიდი ნაწილი განხეთქილებას აღრმავებდა და როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიები საუბრობდნენ ძალადობის, ღონისძიებების ჩაშლისა და წინასაარჩევნო მასალის დაზიანების ცალკეულ ინციდენტების შესახებ. მაღალი რანგისა და ადგილობრივი მთავრობების თანამდებობის პირთა მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში და მთავრობის მიერ გამოცხადებული ამნისტიის პროგრამა, რომელიც შეეხება ძალიან დიდი რაოდენობის ფიზიკურ პირთა შეწყალებას ჩადენილ დანაშაულთა ფართო სპექტრისთვის, რაც მმართველს პარტიას შეუსაბამო უპირატესობას ანიჭებდა. მთლიანობაში, აღნიშნულმა წაშალა ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას.

2023 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შეამცირა პოლიტიკური პარტიების ყოველწლიური დანახარჯების ზედა ზღვარი და აკრძალა იურიდიული პირებისგან მიღებული შეწირულობები, რაც შესაბამება ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემულ

ზოგიერთ რეკომენდაციას, მაგრამ გაუთვალისწინებელს ტოვებს მესამე მხარის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვასა და კენჭისყრის დღემდე ზედამხედველი ორგანოს მიერ დასკვნების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მმართველი პარტია თავის ყველა ოპონენტთან შედარებით დიდი ფინანსური უპირატესობით სარგებლობდა. 2023 წლიდან პოლიტიკური პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება ახლად დაარსებულ უწყებას, ანტიკორუფციულ ბიუროს, გადაეცა, რომელიც უზუნველყოფილია დამოუკიდებელი ბიუჯეტითა და არსებითად დიდი რაოდენობის ადამიანური რესურსებით. ყველა საარჩევნო სუბიექტმა დადგენილ საკანონმდებლო ვადაში წარმოადგინა შუალედური ფინანსური ანგარიშები, რომლებიც ანტიკორუფციულმა ბიურომ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობის შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ანტიკორუფციულ ბიუროს არ ავალდებულებს თავისი დასკვნების კენჭისყრის დღემდე გამოქვეყნებას, მან დასკვნები არჩევნებამდე ერთი დღით ადრე გამოაქვეყნა. გარკვეულ შემთხვევებში ანტიკორუფციული ბიუროს მიერ საკანონმდებლო ნორმების გამოყენება შერჩევითი იყო და არ იყო თანმიმდევრული, რაც ნეგატიურად აისახებოდა ბიუროს დამოუკიდებლობაზე, რაც შეშფოთებას ზრდიდა მისი პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების თაობაზე. მთლიანობაში, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის გამჭვირვალობა და ეფექტურობა შეზღუდული იყო გაუთვალისწინებელი საკანონმდებლო ხარვეზებისა და საკანონმდებლო ნორმების აღსრულების შეზღუდული შესაძლებლობების გამო.

მედია მრავალფეროვანი, მაგრამ ძალზედ პოლარიზებულია და დაფინანსების თვალსაზრისით დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებული კერძო პირებზე, რაც მირს უთხრის დამოუკიდებელ უურნალისტიკას. უურნალისტების უსაფრთხოება ბოლო დროს მათ წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი თავდასხმისა და დაშინების აქტებისა და ზეწოლის გამო კვლავაც შეშფოთების უმთავრესი საგანია. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისის მონიტორინგმა ნათლად წარმოაჩინა მედიამონიტორინგით დაფარული ყველა მედიასაშუალების პოლიტიკური მიკერძოება და კომერციული სატელევიზიო არხების მიერ ახალი ამბების მიუკერძოებელი გამუქების კანონიერი ვალდებულების უგულვებელყოფა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა პოლიტიკური პარტია უპირატესად პოზიტიური ან ნეიტრალური კუთხით წარმოაჩინა, მაგრამ ახალი ამბების გამუქებისას მნიშვნელოვნად მეტი დრო დაუთმო სახელისუფლებო პარტიას. კერძო მედიასაშუალებების პოლიტიკური პროპაგანდის ინსტრუმენტად გამოყენება მირს უთხრიდა ახალი ამბების დამოუკიდებელ წარმოებას და ამძაფრებდა პოლიტიკურ განხეთქილების რიტორიკას. პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიუკერძოებელი ანალიზის სიმცირე და წამყვანი პოლიტიკური აქტორებისა და პარტიების უარი მონაწილეობა მიეღოთ დებატებში, ამომრჩევლებს უზღუდავდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი საარჩევნო დავების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, დავების გადაწყვეტის ეფექტურობა კვლავაც შეზღუდული იყო ამომრჩეველთათვის კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების, პროცედურული ხარვეზების, კანონმდებლობის ორაზროვნებისა და მისი გამოყენების არათანიმდევრულობის გამო. კენჭისყრის დღემდე საარჩევნო კომისიებში 220-ზე მეტი საჩივარი დაიწერა საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობისა და მათი წევრების დანიშვნის, ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო ბოროტად გამოყენების და წინასაარჩევნო კამპანიის წესების

დარღვევის შესახებ. გადაწყვეტილებათა უმრავლესობა საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა მიიღეს და არა კომისიათა სრულმა შემადგენლობებმა, რაც ძირს უთხრის კოლეგიალობას და ამცირებს გამჭვირვალობას და ეწინააღმდეგება ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს. ბევრ საჩივარს დაუსაბუთებლობის გამო ეთქვა უარი, თუმცა საჩივრების არსი ადეკვატურად გამოძიებული არ ყოფილა. ძალოვანი სტრუქტურების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა, რომ პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხები ეფექტიანად და მიუკერძოებლად იქნება გადაწყვეტილი, კვლავაც დაბალია.

კანონი ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს; არაერთმა ორგანიზაციამ მთელი ქვეყნის მასშტაბით აწარმოა გრძელვადიანი დაკვირვება. საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აკრედიტაცია მიანიჭა 23 177 დამკვირვებელს, 102 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასა და 76 ორგანიზაციის წარმომადგენელ

1 592 საერთაშორისო დამკვირვებელს. კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს ბევრი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ მათი საქმიანობის სტიგმატიზაცია გამოიწვია; ანგარიშებში აისახა თავდასხმისა და დაშინების ინციდენტები, რამაც კანონშეუსაბამობისთვის დაწესებულ სავარაუდო სანქციებთან ერთად ნეგატიური ზეგავლენა იქონია მათ შესაძლებლობაზე, ემუშავათ შეუსაბამო ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში.

კენჭისყრის დღე ზოგადად კარგად იყო ორგანიზებული და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაგრამ ხასიათდებოდა დაძაბულობთით, ფიზიკური დაპირისპირების რამდენიმე ინციდენტით და ამომრჩეველთა და ასევე, ადგილობრივი დამკვირვებლების დაშინებით. ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმების დამთვლელი მოწყობილობები უმეტესწილად გამართულად მუშაობდნენ, თუმცა დაკვირვების არეალში მოქცეულ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველების უმრავლესობას გაუჭირდა ხმების დამთვლელი მოწყობილობის გამოყენება. ხმის მიცემის ფარულობა პოტენციურად კომპრომეტირებული იყო დაკვირვების 24 პროცენტში საარჩევნო ბიულეტინების ხმების დამთვლელ აპარატში ბიულეტენის შეცურების ან საარჩევნო უბნის დარბაზის არასათანადო დაგეგმარების გამო. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხშირად მიუთითებდნენ ამომრჩევლებზე ზეწოლისა, საარჩევნო უბნებზე მოქალაქეთა სიჭარბისა და ასევე პროცედურების არათანმიმდევრული დაცვის ფაქტებზე. ბევრ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ხმის მიცემის პროცესის ვიდეოგადაღებას ახორციელებდნენ ან აღრიცხავდნენ ამომრჩევლებს, რაც შეშფოთებას ზრდის სავარაუდო დაშინების თაობაზე. ადგილობრივი და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელ დამკვირვებელთა მონაწილეობა საარჩევნო პროცესში ზრდის გამჭვირვალობას, თუმცა ბევრი ადგილობრივი დამკვირვებელი საარჩევნო სუბიექტის სახელით მოქმედებდა. ხმების დათვლის დროს, პროცედურის გარკვეული ეტაპების უგულვებელყოფა ხდებოდა, მათ შორის გამოუყენებელი ბიულეტინებს არასათანადო ეპყრობოდნენ, არ ხდებოდა გაკეთებული არჩევანის ხმამაღლა გამოცხადება და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ ასევე აღნიშნა, რომ ბიულეტინის ნამდვილობის განსაზღვრის დროს თანმიმდევრულობა არ იყო დაცული. დაჯამება დადებითად შეფასდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმების სიზუსტე და სისრულე არ იყო თანმიმდევრულად გადამოწმებული, რა

დღოსაც საოლქო საარჩევნო კომისიები განმარტავდნენ, რომ ოფიციალური შედეგების გაფორმება ეროვნულ დონეზე ხდება.

### წინასწარი მიგნებები

#### ზოგადი ინფორმაცია და პოლიტიკური კონტექსტი

26 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული პირველი არჩევნები იყო.<sup>1</sup> ეს იყო პირველი არჩევნები, რომელიც საქართველომ 2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ გამართა, თუმცა ეს პროცესი დემოკრატიული თვალსაზრისით უკუსვლის გამო 2024 წლის ივნისის შემდეგ დე ფაქტო შეჩერებულია.<sup>2</sup>

პოლიტიკურ ლანდშაფტში დომინანტური ადგილი მმართველ პარტიას, „ქართულ ოცნებას“ უჭირავს, რომელიც ხელისუფლებაში 2012 წელს მოვიდა. 2020 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საპარლამენტო მანდატები 9 პოლიტიკურმა პარტიამ და კოალიციამ მოიპოვა. „ქართულმა ოცნებამ“ 150 მანდატიდან 90 მანდატი მიიღო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული კოალიცია 36 მანდატით ყველაზე მსხვილი ოპოზიციური ფრაქცია გახდა.<sup>3</sup> არჩევნების მომდევნო წლებში ოპოზიცია ხასიათდებოდა მზარდი ფრაგმენტულობითა შიდაპარტიული არასტაბილურობის გამო. ამ არჩევნების წინ ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა სამ კოალიციაში გაერთიანდა: „კოალიცია ცვლილებისთვის“ (რომელშიც შედიან: „ახალი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „დროა!“ და „რესპუბლიკური პარტია“); „ძლიერი საქართველო“ (რომელსაც წარმოადგენენ: „ძლიერი საქართველო - ლელო“, „ხალხისთვის“, „თავისუფლების მოედანი“ და „მოქალაქეები“) და

<sup>1</sup> 2020 წელს ჩატარებულ არჩევნებზე პარლამენტის წევრები შერეული სისტემით აირჩიეს; მათ შორის 120 დეპუტატი ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში დახურული პარტიული სიით პროპორციული სისტემით, 30 დეპუტატი კი ერთმანდატიან ოლქში მაჟორიტარული სისტემით აირჩიება.

<sup>2</sup> საქართველომ ევროკავშირის წევრობის შესახებ განაცხადი 2022 წლის მარტში გააკეთა, კანდიდატის სტატუსი კი 2023 წლის დეკემბერში მიიღო იმ პირობით, რომ ის შეასრულებდა ევროკომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. 2024 წლის ივნისში ევროკომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მიღებული კანონი კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციაში მითითებულ ნაბიჯებთან მიმართებაში უკუსვლას წარმოადგენს, რაც იწვევს პროცესის დე ფაქტო შეჩერებას. 2024 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ევროკომისიის დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „მოვლენათა მიმდინარე კურსი საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ გზას და იწვევს ამ პროცესის დე ფაქტო შეჩერებას“ და მოუწოდებს საქართველოს მთავრობას „გაატაროს დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და მდგრადი რეფორმები“. იხ. ევროპარლამენტის მიერ 9 ოქტომბერს გამოქვეყნებული რეზოლუცია „საქართველოში დემოკრატიული უკუსვლისა და პოლიტიკური პლურალიზმის წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ“.

<sup>3</sup> სხვა პარტიები, რომელებმაც ასევე მოიპოვეს მანდატები იყვნენ: „ევროპული საქართველო“ – 5 მანდატი; „ძლიერი საქართველო - ლელო“ – 4 მანდატი; „სტრატეგია აღმაშენებლი“ – 4 მანდატი; „პატრიოტთა ალიანსი“ – 4 მანდატი; „გირჩი“ – 4 მანდატი; „მოქალაქეები“ – 2 მანდატი და „ლეიბორისტული პარტია“ – 1 მანდატი.

„ერთიანობა საქართველოს გადასარჩენად“ (რომლის წევრებიც არიან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“).<sup>4</sup>

არჩევნები დამკვიდრებული პოლიტიკური პოლარიზაციის, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის გამძაფრებული ანტაგონიზმისა და სხვადასხვა კანონის მიღებით საზოგადოებაში გამოწვეული უკამაყოფილების ფონზე ჩატარდა. 2023 და 2024 წლებში ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები გაიმართა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ, რომელიც 2023 წელს გაიწვიეს, 2024 წლის მაისში კი ხელახლა მიიღეს.<sup>5</sup> პროტესტების მიმდინარეობისა და მათი დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ პროცესში ჩართულმა ბევრმა მხარემ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას (ODIHR EOM) აცნობა საპროტესტო აქციების მონაწილეთა, სამოქალაქო საზოგადოებისა და უურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და დაშინების ფაქტების შესახებ. ამ კანონის მიღება ნებატიურ ზეგავლენას ახდენს სამოქალაო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის შესახებ დამოუკიდებელ აღქმაზე.<sup>6</sup> 17 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რომელსაც შემოაქვს ლგბტი თემის დისკრიმინაციის წამახალისებელი ზომები და შესაძლოა შეზღუდოს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო და ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს.<sup>7</sup>

<sup>4</sup> არჩევნების წინ ბლოკების ჩამოყალიბება არ არის დაშვებული, კოალიციებმა თავისი კანდიდატები წამყვანი პარტიების საარჩევნო სიებში დაარეგისტრირებული სხვა პარტიებმა, როგორებიც არიან: „პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოსთვის“ და „გირჩი - ახალი პოლიტიკური ცენტრი“ გადაწყვიტეს არცერთ კოალიციას არ შეერთებოდნენ.

<sup>5</sup> კანონის თანახმად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ და მედიაორგანიზაციებს, რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური წყაროებიდან მოდის, დარეგისტრირების, ანგარიშის წარმოდგენისა და ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნები დაუწესდათ, რაც მათ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლის“ იარღიყს აწებებს. კანონის ინიციირების შემდეგ 100-ზე მეტმა სამოქალაქო საზოგადოების და მედიაორგანიზაციამ უარი განცხადა დარეგისტრირებაზე იმ არგუმენტით, რომ კანონი არაკონსტიტუციურია და ხელს უწყობს სტიგმატიზაციას. ამჟამად იუსტიციის სამინისტროს ნუსხაში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ“ ორგანიზაციად 476 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაა დარეგისტრირებული.

<sup>6</sup> იხ. კანონის კრიტიკული შეფასება ODIHR-ის დასკვნაში, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დასკვნაში, ეუთოს საპარლამენტი ასამბლეის განცხადებაში, ევროკომისიის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებაში და ნატოს 490-ე დასკვნაში. იხ. ეუთოს დირექტორის განცხადება, რომელიც მოუწოდებს საქართველოს მთავრობას გადახედოს ამ კანონმდებლობას. ივლისში პრეზიდენტმა და 38 დეპუტატმა 120-ზე მეტ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ და მედიაორგანიზაციასთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა და მოითხოვა კანონის ნორმების ამოქმედების დროებითი შეჩერება. 9 ოქტომბერს სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე უარი თქვა კანონის ნორმების შეჩერებაზე. 17 ოქტომბერს 16-მა მედიაორგანიზაციამ, 120-მა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ და ოთხმა ფიზიკურმა პირმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ერთობლივი სარჩელით მიმართა კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მისი შეუსაბამობის გამო.

<sup>7</sup> კანონი კრძალავს სკოლებში შეკრებებსა და ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც „აგიტაციას უწევს“ არაპეტიროსექსუალურ ურთიერთობებს, სქესის შეცვლის მიზნით ჩატარებულ სამედიცინო პროცედურებს ან არაპეტიროსექსუალი პირების მიერ შვილად აყვანას. სხვათა მსგავსად ვენეციის კომისიამ (26 ივნისს), ევროკავშირის საგარეო სამსახურმა (4 სექტემბრის) და გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის სპიკერმა (17 სექტემბრის) გააკრიტიკა ეს კანონი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ნორმების მიუხედავად საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის მაისში გააუქმა სავალდებულო გენდერული კვოტირება და სხვა დროებითი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ქალთა საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდას, რამაც ამ არჩევნებზე ქალ კანდიდატთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია.<sup>8</sup> წინა საპარლამენტო შემადგენლობაში ქალებს 19 პროცენტი, მერების 64 თანამდებობიდან - 3, მინისტრის 12 თანამდებობიდან კი მხოლოდ 2 თანამდებობა ეკავათ. არჩეულ თანამდებობებზე ქალების წარმომადგენლობის სიმცირე, რასაც პოზიტიური საკანონმდებლო ზომების გაუქმება ერთვის, დამატებით ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკაში ქალთა ჩართულობაზე.<sup>9</sup>

## საკანონმდებლო ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

ბოლოს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კანონში განხორციელდა 20-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2022 და 2024 წლებში.<sup>10</sup> 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც ყოვლისმომცველი რეკომენდებული რეფორმის გატარება ვერ უზრუნველყო, კონსულტაციებისა და პარტიათაშორისის მხარდაჭერით იყო მიღებული, და პასუხობდა ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის მიერ წარსულში გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას საარჩევნო ორგანოების დაბალი რანგის წევრთა და ადგილობრივ დამკვირვებელთა მოუკერძოებლობის გაძლიერების, ავტომატური გადათვლის ინიციირებისთვის დამატებითი საფუძვლის შექმნისა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესში ვადების მოწესრიგების შესახებ. 2024 წლის ცვლილებები, რომლებითაც ცენტრალური საარჩევნო კომისიაში შეიცვალა გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რამაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შესაძლებლობა მისცა განმეორებითი კენჭისყრის დროს გვერდი აუაროს სრული შემადგენლობის ორი მესამედის მიღწევის მოთხოვნას, გაუქმდა ოპოზიციის მიერ დასახელებული თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და შეიცვალა ცენტრალური

<sup>8</sup> „გირჩის“ წარმომადგენლომა დეპუტატებმა, რომლებმაც ეს ცვლილებები დააინიციირეს, მმართველი პარტიის მხარდაჭერა მოიპოვეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების სანაცვლოდ. მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებით გენდერული კვოტირება პოზიტიური დისკრიმინაციის ერთგვარი ფორმა და მან თავისი მირითადი ამოცანა უკვე შეასრულა. იხ. ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის 2024 წლის ივნისის [დასკვნა](#) გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ.

<sup>9</sup> 2022 წელს გამოქვეყნებულ [გაეროს ანგარიშში საქართველოში პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ](#) ნათქვამია, რომ „[ქალ] რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54 პროცენტი) აღნიშნავდა, რომ განუცდია რაიმე ფორმის შევიწროვება ან ძალადობა თანამდებობაზე ყოფნის ან წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში. [...] პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ძალადობა და სოციალური მედიის მეშვეობით განხორციელებული ძალადობა.“

<sup>10</sup> საპარლამენტო არჩევნები რეგულირდება 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით, 2011 წელს მიღებული „საარჩევნო კოდექსით“, 1997 წელს მიღებული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებებით. სხვა რელევანტური კანონებია: 2004 წელს მიღებული კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, 1999 წელს მიღებული „სისხლის სამართლის კოდექსი“, 1984 წელს მიღებული „ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, 1999 წელს მიღებული „საქართველოს ადამინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ და 1999 წელს მიღებული „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“. საქართველო დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი საერთაშორისო და რეგიონალური ინსტრუმენტების ხელმომწერია.

საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა არჩევის პროცედურა ინკლუზიური კონსულტაციებისა და ფართო პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე მიიღეს.<sup>11</sup> ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა წარსულში მოქმედი ზოგიერთი კონსენსუსზე დაფუძნებული ნორმა, რაც ეწინააღმდეგება ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

მთლიანობაში კანონი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ადეკვატურ ბაზას ქმნის; თუმცა, მრავალი ცვლილების მიუხედავად ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რამდენიმე უცვლელი რეკომენდაცია კვლავაც გაუთვალისწინებელია.<sup>12</sup> ეს რეკომენდაციები შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების დასახელებასა და დანიშვნას, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ რეგულაციების ამოქმედებას, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციების გაძლიერებასა და ზედამხედველობას, წინასაარჩევნო კამპანიის მედიასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწას და საარჩევნო დავების გადაწყვეტისთვის ჩარჩოს გაძლიერებას. გარდა ამისა, საკანონმდებლო ჩარჩოს ხშირი ცვლილება, მათ შორის არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე და ფართო პატრიათაშორისი მხარდაჭერის გარეშე განხორციელებული არაერთი საკანონმდებლო ცვლილების ჩათვლით, მირს უთხრიდა მის სტაბილურობას და შეშფოთების საფუძველს ქმნიდა სავარაუდო პოლიტიკურ მანიპულაციასთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას.<sup>13</sup> უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონი ძალზედ კომპლექსურია, ზოგიერთ ასპექტში აკლია სიცხადე და კვლავაც შეიცავს ხარვეზებსა და შეუსაბამოებს, რაც ზოგჯერ დაინტერესებული მხარეების მხრიდან მის განსხვავებულად იმპლემენტაციას იწვევს.<sup>14</sup>

<sup>11</sup> 1990 წლის ეუთოს კოპენჰაენის დოკუმენტის 5.8 პარაგრაფის მიხედვით კანონმდებლობის მიღება უნდა მოხდეს საჯარო პროცედურის დასრულების შემდეგ.

<sup>12</sup> 2024 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით არ მოხდა ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს „სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად“ კომისიის (იგივე „ვენეციის კომისია“) მიერ გამოკვეთილი ძირითადი გამოწვევების გათვალისწინება. ODIHR-ისა და „ვენეციის კომისიის“ 2023 წელს გამოქვეყნებული ერთობლივი დასკვნა და 2024 წელს გამოქვეყნებული დამატებითი მოსაზრებები ამბობს, რომ „საკანონმდებლო ცვლილებები აშკარად არ არის საკმარისი კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესის უზუნველსაყოფად, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტებია ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის და საზოგადოებაში ამ უწყების მიმართ წდობის უზუნველსაყოფად“.

<sup>13</sup> ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის 2022 წელს გამოქვეყნებული საარჩევნო საკითხთა კარგი პრაქტიკის კოდექსის (Code of Good Practice) ქვეპუნქტი II.2.8 ამბობს, რომ „საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტები, განსაკუთრებით კი საარჩევნო სისტემა, საარჩევნო კომისიების წევრობა და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა არ უნდა ექვემდებარებოდეს ცვლილებებს არჩევნების ჩატარებამდე ერთი წლით ადრე“, ამ დოკუმენტის განმარტებითი ანგარიშის II.2.64 ქვეთავში კი ნათქვამია, რომ „აუცილებელი ზომები უნდა გადაიდგას, რათა თავიდან ავიცილოთ [...] მანიპულაციაზე მცირედი მინიშნებებიც კი“. 2024 წელს „ვენეციის კომისიის“ მიერ საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის შესახებ გამოქვეყნებული შესწორებული ინტერპრეტაციული განცხადება ამბობს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება არჩევნებამდე ერთი წლის ვადაში დასაშვებია „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებსა და დაფუძნებულია მთავრობასა და ოპოზიციას შორის მიღწეულ კონსენსუსზე და ფართო საჯარო კონსულტაციებზე“.

<sup>14</sup> საარჩევნო კოდექსი და სხვა კანონები შეიცავს მითითებებს ისეთ ნორმებზე, რომლებიც აღარ არსებობს ან არ გამოიყენება. მუხლი 51 და მუხლი 186 შეიცავს მითითებას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის 30.12-ე გაუქმებულ მუხლზე, რომელიც ადგენს, თუ რომელ

150-წევრიანი პარლამენტი პირდაპირი წესით აირჩევა ოთხი წლის ვადით სრულად პროპორციული სისტემით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატთა დახურული სიებით. საპარლამენტო მანდატების მოსაპოვებლად პარტიებმა უნდა გადალახონ ხუთპროცენტიანი ზღვარი. წინასაარჩევნო ბლოკების ჩამოყალიბება აკრძალულია.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნებს ადმინისტრირებას უწევდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, 73 საოლქო და 3,111 საუბნო საარჩევნო კომისია. არჩევნები არ ჩატარებულა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომელიც ამჟამად საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმა. <sup>15</sup> ყველა კომისია შედგება რვა არაპარტიული და ცხრამდე საპარლამენტო მანდატების მფლობელი პარტიების მიერ დასახელებული წევრისგან. ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივი ორგანოებია, საუბნო საარჩევნო კომისიები კი დროებითი ორგანოებია, რომელიც ყოველი არჩევნების წინ იქმნება.<sup>16</sup> დაბალი რანგის კომისიებში ქალები წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 17 წევრიდან კი მხოლოდ 4 იყო ქალი.<sup>17</sup>

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობა განცხადებების განხილვისთვის გამოყოფილი შეზღუდული დროის მიუხედავად კანონით დადგენილ ვადაში შეიქმნა. არაპარტიული თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატთა სრული რაოდენობა

საარჩევნო სუბიექტებს ეკუთვნით უფასო საეთერო დრო. საარჩევნო კოდექსი შეიცავს საკმაოდ ბევრ დროებითი ნორმას, რომელიც მიღებული იყო მხოლოდ კონკრეტული არჩევნების რეგულირებისთვის და რომელთა დიდი ნაწილიც აღარ გამოიყენება. ზოგიერთი ცნება ბუნდოვანია; მაგალითად, როგორიც არის „სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება“, „შემოწირულობები სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზნით“, „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირები“, ისევე როგორც უფასო საეთერო დროის მიღების უფლება, „რადგანაც საარჩევნოდ ბლოკების ჩამოყალიბება აკრძალულია, რის გამოც ზოგ შემთხვევაში აღმასრულებელი ორგანოებისა და სასამართლოების მიერ მეტისმეტად ფართო დისკრეციულ ინტერპრეტაციას ვიღებთ, დავები და სანქციები (იხ. აგრეთვე ქვეთავები: „მედია“, „წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება“ და „საარჩევნო დავების გადაწყვეტა“)

<sup>15</sup> 67 საარჩევნო უბნისა და 42 ქვეყნის ჩათვლით, სადაც შესაძლებელი იყო ხმის მიცემა ქვეყნის საზღვრებს მიღმა. დამატებითი საუბნო საარჩევნო კომისიები შეიქმნა სასჯელალსრულების დაწესებულებებსა და სტაციონარებში გახსნილ 13 საარჩევნო. არჩევნები არ ჩატარდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ეს ტერიტორიები ამჯამად საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმა. იხ. ადამიანის უფლებათა ურიკული სასამართლო (ECtHR) 2024 წლის გადაწყვეტილება საქეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ.

<sup>16</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები ხუთი წლის ვადით ინიშნებიან. საარჩევნო პერიოდში თითოეული საოლქო საარჩევნო კომისიის ხუთ მუდმივ წევრს სამი დროებითი არაპარტიული წევრი შეუერთდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედი თავმჯდომარე 2021 წლის აგვისტოში ექვსი თვის ვადით დაინიშნა, მოგვიანებით კი თავმჯდომარის დანიშვნის პროცესის დასამურელად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ვადა გაუხანგრძლივდა, რაც ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ სადავო გადაწყვეტილებად შეფასდა. 2024 წლის აპრილში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოთხი არაპარტიული წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, ხელახლა აირჩიეს სრული ვადით მაშინ, როცა დარჩენილი არაპარტიული წევრების მანდატებს ვადა 2025 წელს ეწურებათ.

<sup>17</sup> საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 67 პროცენტი და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 73 პროცენტი ქალი იყო; საოლქო საარჩევნო კომისიების წამყვანი პოზიციების 55 და საუბნო საარჩევნო კომისიების წამყვანი პოზიციები 78 პროცენტი ქალებს ეკავათ.

შეზღუდული იყო, განაცხადების საერთო რაოდენობა ერთი პროცენტით აჭარბებდა საუბნო საარჩევნო კომისიებში დასაკავებელი ადგილების რაოდენობას, რაც თანამდებობათა უმრავლესობისთვის კონკურენციას მნიშვნელოვნად ზღუდა.<sup>18</sup> რამდენიმე პოლიტიკური პარტია აღნიშნავდა, რომ გაუჭირდათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატების მოძიება; ბევრ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიაში აღინიშნა დანიშნვის შემდეგ კომისიის წევრთა მნიშვნელოვანი გადინება. საოლქო საარჩევნო კომისიები მიზეზად დაბალ ანაზღაურებას და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა პასუხისმგებლობების არასაკმარის გაცნობიერებასა ასახელებდნენ და ასევე აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, იყვნენ ისეთებიც, ვისაც არ სურდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა. პოლიტიკური პარტიები მსგავსი უარის მიზეზად ასახელებდნენ ადგილობრივი მთავრობებისა და სხვა პარტიების მხარდამჭერთა მხრიდან ზეწოლის შიშს.<sup>19</sup> არ არსებობს საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიული წევრების ჩანაცვლებისა და გაწვევისთვის დადგენილი ვადა. საუბნო საარჩევნო კომისიების ბევრი ჩანაცვლებული წევრი არ იყო საკმარისად გადამზადებული, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას.<sup>20</sup>

საარჩევნო ადმინისტრაცია ტექნიკურ სამზადისს დროულად და ეფექტურად გაუმკლავდა. გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგულარული პირდაპირი ეთერით გადაცემული სხდომები ჩაატარა და თავისი გადაწყვეტილებები და სხვა მასალები ვებგვერდზე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა. საარჩევნო კომისიები ტექნიკურ საკითხებზე ზოგადად კონსენსუს აღწევდნენ, მაგრამ სადაცო საკითხებზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ხშირად იკავებდნენ თავს, რის გამოც გადაწყვეტილებები მარტივი უმრავლესობით მიიღებოდა.<sup>21</sup> მიუხედავად იმისა, რომ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ მხარეთა უმრავლესობა ნდობას უცხადებდა საარჩევნო ადმინისტრაციას მისი ტექნიკურ და ორგანიზაციული კომპეტენციების გამო, გამოითქვა

<sup>18</sup> ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი არაპარტიული წევრობის კანდიდატთა 219 ვაკანტური ადგილის შესავსებად 263 განაცხადი მიიღო. საოლქო საარჩევნო კომისიების 56 პროცენტში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იმდენივე განაცხადი მიიღო, რამდენი ვაკანსიაც იყო გამოცხადებული. ოთხი დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიება 24,425 განმცხადებლიდან საუბნო საარჩევნო კომისიების 24,047 არაპარტიული წევრი შეარჩიეს, საუბნო საარჩევნო კომისიების 9, 090 წამყვან პოზიციაზე საოლქო საარჩევნო კომისიება 9, 111 განაცხადი მიიღეს. არაპარტიული წევრები უნდა ფლობდნენ პროფესიულ სერტიფიკატებს და უნდა აკმაყოფილებდნენ დამატებით საკანონმდებლო მოთხოვნებს, მაგალითად: არ უნდა იყვნენ პარტიის მიერ კომისიის წევრად ან წარმომადგენლად დანიშნული, ბოლო ორი საყოველთაო არჩევნების დროს არ უნდა ყოფილიყვნენ საარჩევნო სუბიექტი და ბოლოს ჩატარებული არჩევნების შემდეგ რომელიმე პარტიის შემომწირველი, რაც უზრუნველყოფს მათ მიუკერძოებლობას. არაერთი ვაკანსიის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი ხელახლა ჩატარდა კანდიდატთა არასაკმარისი რაოდენობისა და დაკავებულ თანამდებობებზე უარის თქმის გამო.

<sup>19</sup> ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ამბროლაურში, ბოლონისში, მთაწმინდასა (თბილისი) და საგარეჯოს ოლქებში ზოგიერთმა პარტიის მიერ დასახელებულმა წევრმა არ იცოდა კომისიის წევრად დანიშნვის შესახებ ან ვინ დაასახელა ისინი.

<sup>20</sup> იხ. „კარგი პრაქტიკის კოდექსის“ პარაგრაფი II.3.1.ზ., რომელიც ამბობს, რომ „საარჩევნო კომისიების წევრებმა უნდა გაიარონ სტანდარტული ტრენინგები“.

<sup>21</sup> 2024 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შეცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების მიღების პროცესი და დაუშვა იმავე სხდომაზე მარტივი უმრავლესობით ხელახლი კენჭისყრა ისეთ შემთხვევებში, თუ წევრთა მთელი შემადგენლობის ბოლო ორი მესამედის მხარდაჭერის მოპოვება ვერ მოხერხდა.

წუხილი ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისა და წარდგენისა პროცესის კონტროლზე უფლებამოსილების სახელისუფლებო პარტიისთვის გადაცემას, გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ასევე, არაპარტიულ წევრებსა და სახელისუფლებო პარტიას შორის სავარაუდო კავშირების თაობაზე, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის მიმართ არსებულ აღქმაზე.<sup>22</sup>

საარჩევნო ადმინისტრაციამ ყოვლისმომცველი ტრენინგ-პროგრამა მოამზადა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, საარჩევნო სუბიექტებისთვის და მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. სხდომები, რომლებსაც ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ ინფორმაციული და ინტერაქციული იყო, მაგრამ ისინი საკმარისად არ ასახავდნენ წინასაარჩევნო პასუხისმგებლობებს, რამაც შეუსაბამობები გამოიწვია საუბნო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი პროცედურის იმპლემენტაციისას.<sup>23</sup> ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და განათლების ინტენსიური კამპანიები წამოიწყო, რაც პირისპირ შეხვედრებს, აუდიო-ვიზუალური მასალის მედიასა და ონალინ განთავსებას და კენჭისყრის დღის სიმულაციური სავარჯიშოების ჩატარებას მოიცავდა და ძირითადად ფოკუსირებული იყო ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მონაცემების ვერიფიკაციაზე, საარჩევნო პროცედურებსა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასა და საარჩევნო ბიულეტინების ვალიდურობის დადგენაზე.

დადებითად შეფასდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა საინფორმაციო მასალის ყველა ხელმისაწვდომი ფორმატით უზრუნველყოფა და ასევე საარჩევნო უბნებზე დამხმარე აღჭურვილობის განთავსება. ამომრჩეველთა საინფორმაციო მასალები უზრუნველყოფილი იყო ჟესტურ ენაზე შესრულებული თარგმანით და მოიცავდა ვიდეორგოლებს სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის. თუმცა, საარჩევნო ორგანოების, მათ შორის საოლქო საარჩევნო კომისიების ოფისებისა და საარჩევნო უბნების, ზოგადი ფიზიკური ხელმისაწვდომობა, კვლავაც არ იყო ადეკვატური (იხ. კენჭისყრის დღე).

<sup>22</sup> 2023 და 2024 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით არაპარტიული წევრების, მათ შორის თავმჯდომარის დასახელების პასუხისმგებლობა პრეზიდენტიდან პარლამენტის თავმჯდომარეზე გადაიტანა და გააუქმა ოპოზიციის მიერ წარდგენილი თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რამაც შეშფოთება გაამძაფრა იმის თაობაზე, რომ ეს ცვლილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისა და დასახელების პროცესზე სრულ კონტროლს მმართველი პარტიის ხელში აქცევს და სპობს პოლიტიკურ პლატფორმათა შორის ნდობის განტკიცების საჭიროებას. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის (ICCPR) 25-ე ზოგადი კომენტარის მე-20 პარაგრაფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საარჩევნო პროცესი უნდა წარიმართოს „სამართლიანად, მიუკერძოებლად და პაქტან შესაბამისი დადგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით“. „საარჩევნო საკითხთა კარგი პრაქტიკის კოდექსი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საარჩევნო კანონმდებლობის გამოყენებაზე პასუხისმგებლია მიუკერძოებელი ორგანო“.

<sup>23</sup> ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ მონახულებული არაერთი საუბნო საარჩევნო კომისიაში შესამჩნევი იყო ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შესატანად მიღებულ განაცხადებთან და გადასატანი ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებული პროცედურების მართებული აღქმის ნაკლებობდა.

## საარჩევნო ტექნოლოგიები

2022 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კენჭისყრის დღეს მანიპულაციებისა და ადამიანური შეცდომებისგან დასაზღვევად საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება განაპირობა. 2023 წლის აგვისტოში შეირჩა კერძო მომწოდებელი *Smartmatic*-ი ხმების დამთვლელი ოპტიკური მოწყობილობების, ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და კონფიგურაციის ტექნიკური მხარდაჭერის ტექნოლოგიების მისაწოდებლად. ამ არჩევნებში 2 263 საარჩევნო უბანი (75 პროცენტი) აღჭურვილი იყო ხმების დამთვლელი და ამომრჩეველთა იდენტიფიცირების მოწყობილობებით, რომელთა მეშვეობითაც ელექტორატის დაახლოებით 90 პროცენტი დაიფარა.<sup>24</sup> წინასწარი შედეგების გადასაცემი პლანშეტები გამოყენებული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო უბანში. კანონის თანახმად ხმის დამთვლელი მოწყობილობებით მიღებული შედეგები წინასწარ შედეგებად ჩაითვალა; საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებში მხოლოდ ხელით გადათვლილი შედეგები აისახა.<sup>25</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად 2023 წლიდან განხორციელებულმა საპილოტე პროექტებმა და ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიებმა დაახლოებით 600 000 ამომრჩეველი მოიცვა.<sup>26</sup> გარდა ამისა საარჩევნო ადმინისტრაციამ დამატებითი ძალისხმევა გაიღო ფართოდ გავრცელებული მცდარი წარმოდგენების გასაქარწყლებლად, რომ თითქოსდა, ეს მოწყობილობები გამოყენებული იქნებოდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევისთვის. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართული მხარეების უმრავლესობა მხარს უჭერდა საარჩევნო ტექნოლოგიების შემოღებას კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურების მიმართ ნდობის განსამტკიცებლად.

კანონი არ ითვალისწინებს საარჩევნო ტექნოლოგიების დამოუკიდებელ ვერიფიკაციასა და სერტიფიცირებას.<sup>27</sup> 2023 წლის ოქტომბერში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეარჩია კერძო კომპანია შესაბამისობის აუდიტის განსახორციელებლად, რამაც, როგორც კომისიამ განაცხადა, დაადასტურა, რომ მოწყობილობები შესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყნის კანონმდებლობას.<sup>28</sup> 2024 წლის ოქტომბერში, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იმავე კომპანიას მოწყობილობების სპეციფიკურად საპარლამენტო არჩევნებისთვის ახალი აუდიტის ჩატარება დაავალა.

<sup>24</sup> ხმის დამთვლელი და ამომრჩეველთა იდენტიფიცირების მოწყობილობები გამოყენებული იყო იმ საარჩევნო უბნებზე, რომლების მუნიციპალურ ცენტრებში ან მათგან 20 კილომეტრის რადიუსში მდებრეობდნენ და რომლებზედაც სულ მცირე 300 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული.

<sup>25</sup> თითოეული უბანი აღჭურვილი იყო ამომრჩეველთა იდენტიფიცირების ერთი აპარატით, რომელიც 700 დარეგისტრირებულ ამომრჩეველზე იყო გათვლილი; მსხვილი უბნები კი ამომრჩეველთა იდენტიფიცირების ხეთი ურთეირთდაკავშირებული აპარატით იყო უზრუნველყოფილი. თითოეული საარჩევნო უბანი აღჭურვილი იყო ორი საარჩევნო ყუთით, რომელზეც დამოწაჟულებული იყო ხმის დათვლის ელექტრონული აპარატი. საარჩევნო უბნები, რომლებზედაც 2 700-ზე მეტი დარეგისტრირებული ამომრჩეველი იყო, უზრუნველყოფილი იყო დამატებითი აპარატით. წინასწარი შედეგები გადაიგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაცული ვირტუალური ქსელით (VPN).

<sup>26</sup> ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ტექნოლოგიები დატესტა 2018 წლის შემდეგ ჩატარებულ 8 საყოველთაო არჩევნებზე და 11 სექტემბერს ჩატარებულ არჩევნების დღის სიმულაციურ სავარჯიშოზე 598 საარჩევნო უბანზე, რამაც 122 864 ამომრჩეველს ტექნოლოგიების გამოცდის შესაძლებლობა მისცა.

<sup>27</sup> იხ. ODIHR-ის და ვენეციის კომისიის ერთობლივი დასკვნა. (რეკომენდაციები B, H, I და პარაგრაფი 37 და შემდგომ).

<sup>28</sup> იხ. ამერიკული კომპანიის “Pro V&” მიერ ჩტარებული აუდიტის სამარიში.

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის სამი ფაზიდან ორი დასრულებული იყო, შესაბამისი ანგარიში კენჭისყრის დღემდე არ გამოქვეყნებულა. ძირითადი დაინტერესებული მხარეები, როგორებიც არიან პოლიტიკური პარტიები და ადგილობრივი დამკვირვებლები, არ დაუშვეს აუდიტის პროცესზე დასასწრებად და მათ შეზღუდულად მიუწვდებოდათ ხელი რელევანტურ დოკუმენტაციაზე, რაც ზღუდავდა გამჭვირვალობას და არ შესაბამებოდა საერთაშორისო კარგ პრაქტიკას.<sup>29</sup>

## ამომრჩეველთა უფლებები და რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება აქვს კენჭისყრის დღეს 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. საერთაშორისო სტანდარტებისა და ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდაჭერის მიმღებებად არიან ცნობილი და მოთავსებული არიან სტაციონარში, ხმის მიცემის უფლება ჩამორთმეული აქვთ<sup>30</sup>. ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასიურ და უწყვეტ რეგისტრი მიმდინარეობდა.<sup>31</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს და განკარგავს ამომრჩეველთა ერთიან სიას, რომელიც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით დგება. მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მქონე ამომრჩევლები მათი მიმდინარე ან წარსულში ცნობილი მუდმივი ან ფაქტობრივი რეგისტრაციის მისამართის მიხედვით ავტომატურად ირიცხებიან ამომრჩეველთა სიაში.<sup>32</sup>

<sup>29</sup> 2022 წლის ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენების შესახებ მე-7 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „გამჭვირვალობა ასევე გულისხმობს დამკვირვებლებისთვის დოკუმენტაციასა და პროცესზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.“ იხ. აგრეთვე მე-4 და მე-8 პარაგრაფები საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების გამჭვირვალობის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

<sup>30</sup> გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-12 და 29-ე მუხლები ავალდებულებს სახელმწიფოებს, „აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებაუნარიანობა სხვებთან თანასწორად.“ იხ. აგრეთვე ამავე კონვენციის კომიტეტის პირითადი კომენტარი ნომ.1, რომელიც ამბობს, რომ „პირის გადაწყვეტილების მიღების უნარი არ შეიძლება აღქმული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პოლიტიკური უფლებების განხორციელებაში ხელის შემშლელ დასაბუთებად, მათ შორის ხმის მიცემის უფლებისა [და] არჩევნებში კენჭის ყრის ჩათვლით“.

<sup>31</sup> მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეები ავტომატურად ირიცხებიან ამომრჩეველთა ერთაინ სიაში, მათ შესაბამის უწყებას განცხადებით უნდა მიმართონ საზღვარგარეთ მცხოვრებ ამომრჩეველთა სიაში დასარეგისტრირებლად.

<sup>32</sup> იმულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე ამომრჩევლები დარეგისტრირდნენ ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მქონე, მაგრამ რეგისტრაციის მისამართის არმქონდე ან სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადდა, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ჩაირიცხნენ რეგისტრაციის ბოლო მისამართის მიხედვით. რეგისტრაციის მისამართის არმქონე ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიერათ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის და 5 ოქტომბრამდე ეცნობებინათ ფაქტობრივი მისამართის შესახებ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ 12 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე პერიოდში სააგენტოს ძალადაკარგული პირადობის დამადასტურებელი მოწმობები მქონე ან რეგისტრაციის არმქონე დაახლოებით 1 400-მდე მოქალაქემ მიმართა, რომლებიც ჩაირიცხნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

ვადაგასული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მფლობელი მოქალაქეები დოკუმენტების განახლებამდე, რისი შესაძლებლობაც 8 ოქტომბრამდე ჰქონდათ, ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან ამოირიცხნენ.<sup>33</sup> საარჩევნო სიიდან ვადაგასული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გამო ამორიცხვა უსარგებლო ტვირთად აწვება მოქალაქეებს, რომლებსაც სხვა მხრივ ხმის მიცემის უფლება არ ეზღუდებათ, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>34</sup> 2023 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად 2011 წლის ივლისამდე გაცემული უვადო პირადობის დამადასტურებელი მოწმობები 2024 წლის ივლისში ძალადაკარგულად გამოცხადდა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დროული განახლებისთვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო და მოწმობების გაცემა უფასოდ დაიწყო. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით 14 ოქტომბრამდე, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის ვადის ამოწურვამდე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არმქონე დაახლოებით 260 000 მოქალაქიდან 195 016-მა შეძლო მოწმობის უფასოდ შეცვლა.<sup>35</sup>

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უწყვეტი ძალისხმევა გაიღო მონაცემთა სიზუსტის გასაუმჯობესებლად.<sup>36</sup> ამომრჩევლებს არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ მათ შესახებ დაცული მონაცემები ონლაინ, სამთავრობო სერვისცენტრებსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოფისებში გადაემოწმებინათ და, საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანა მოეთხოვათ. ამომრჩეველთა სპეციალური სიები შედგა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, რომლებიც კენჭისყრის დღეს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ და საავადმყოფოებში, სტაციონარებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და საზღვარგარეთ მყოფი, ასევე სახლს მიჯაჭული ამომრჩევლებისთვი.<sup>37</sup> ხმის მიცემა გადასატანი ყუთით ხელმისაწვდომი იყო

<sup>33</sup> 8-დან 13 ოქტომბრის პერიოდში ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იყო შესაძლებელი. 14 ოქტომბრიდან ამომრჩეველთა ერთიან სიაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობები ამოიწურა.

<sup>34</sup> **გაერთს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომ. 25** 11-ე პარაგრაფი ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს „ეფექტური ზომები მიიღონ, რათა ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა პირმა შეძლოს ამ უფლებით სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია სავალდებულოა, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ პროცესს და არ უნდა შეუმნან დამატებითი დაბრკოლებები“. ვადაგასული პირადობის მოწმობების მქონე სხვა მოქალაქეებიდან 25 733 მოქალაქეს მოქმედი პასპორტი ჰქონდა, რაც მათ ხმის მიცემის უფლებას აძლევდა.

<sup>35</sup> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ იზრუნა მონაცემთა სიზუსტეზე და სიიდან ამოიღო განმეორებით შეყვანილი და გარდაცვლილი ამომრჩევლების შესახებ დაცული ინფორმაცია. სააგენტომ პროაქტიულად იმოქმედა და დაუკავშირდა ისეთ მოქალაქეებს, რომელთა მონაცემები არ იყო სრული, ჩაატარა ადგილზე ინსპექტორებები და შეტყობინებები გაუგზავნა ისეთ მოქალაქეებს, რომელთა პირადობის დამადასტურებელ მოწმობებსაც მოქმედების ვადა ეწურებოდათ.

<sup>36</sup> საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო აღრიცხვაზე იმყოფებიან, ავტომატურად დარეგისტრირდნენ საზღვარგარეთ ხმის მიმცემთა სპეციალურ სიებში; სხვა ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ რეგისტრაცია 7 ოქტომბრამდე გაევლოთ. 5 ოქტომბერს საზღვარგარეთ ამომრჩევლად დარეგისტრირებასთან დაკავშირებულ სირთულებზე რეგირების მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც ის ამომრჩევლები, რომელთა რეგისტრაციის მისამართებში ხარვეზები ფიქსირდებოდა, დარეგისტრირებულიყვნენ ქვეყნის საზღვრებს მიღმა მყოფი მოქალაქეებისთვის განკუთვნილ ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში. საერთო ჯამში საზღვარგარეთ მყოფ 95 910 ამომრჩეველს მიეცა ხმის მიცემის შესაძლებლობა.

მოქალაქეთა განსაკუთრებული კატეგორიებისთვის.<sup>38</sup> ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ მხარეთა უმრავლესობას განსაკუთრებული შეშფოთება არ გამოუთქვამს ამომრჩეველთა სიის სიზუსტესა და ინკლუზიურობასთან დაკავშირებით.<sup>39</sup> თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა ეჭვი შეიტანა რეგისტრაციის ლეგიტიმურობაში, როდესაც ერთ მისამართზე რეგისტრირებული იყო არაერთი ამომრჩეველი, რომლებიც უცნობ პირებს წარმოადგენდნენ ფაქტობრივი მაცხოვრებლებისთვის.<sup>40</sup> ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვერსიაში 3,508,294 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული.

## კანდიდატთა უფლებები და რეგისტრაცია

კანდიდატად დარეგისტრირების უფლება აქვს კენჭისყრის დღემდე 25 წელს მიღწეულ დარეგისტრირებულ ამომრჩევლებს, რომლებსაც საქართველოში სულ მცირე 10 წელი უცხოვრიათ. ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივი ვადაზე დაწესებული მოთხოვნა, კანდიდატად დარეგისტრირების უფლებაჩამორთმეულ ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მსჯავრდებული მოქალაქეებისთვის, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, დაწესებული შეზღუდვები და დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის საკანონმდებლო ნორმების არარსებობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას.<sup>41</sup> კანდიდატთა სიების წარმოდგენა მხოლოდ

<sup>38</sup> გადასატანი ყუთით ხმის მიცემა ხელმისაწვდომი იყო იმ მოქალაქეებს, რომლებიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ ახერხებდნენ საარჩევნო უბანში მისვლას და ასევე მათთვის, ვინც სასჯელადსრულების, დროებითი მოთავსების იზოლატორში, საავადმყოფოებში და/ან რთულად მისადგომ ადგილებში იმყოფებოდა ან სამხედრო და დაცვის სამსახურების თანამშრომლებისთვის, რომლებიც კენჭისყრის დღეს პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად გადასატანი ყუთით ხმის მიცემისთვის დაწესებულია მისაღები განაცხადების შეზღუდული რაოდენობა, რაც მოცემულ საარჩევნო უბანზე დარეგისტრირებული ამომრჩევლების არაუმეტეს სამ პროცენტს უნდა შეადგენდეს (გარდა შემთხვევებისა, როცა ეს რიცხვი საოლქო საარჩევნო კომისიის განსაკუთრებული ნებართვით არის გაზრდილი), სხვა დამატებითი მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული. სულ საოლქო საარჩევნო კომისიებმა გადასატანი ყუთით ხმის მიცემის მოთხოვნით 64 238 განაცხადი მიიღეს.

<sup>39</sup> ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ და ორმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ გამოიითხოვა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ასლები; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად სიის გადამოწმების შემდეგ მათგან არცერთს არ მიუმართავს კომისიისთვის შესწორებების შეტანის მოთხოვნით.

<sup>40</sup> საკანონმდებლო ნორმები მოქალაქეებს უფლებას აძლევს შეინარჩინონ რეგისტრაციის ძველი მისამართები ამომრჩეველთა ერთიან სიაში მოსახვედრად. თუმცა, დიდუბის, ნაძალადევისა და საბურთალოს (თბილისი) ოლქების და ქუთაისის მკვიდრმა რამდენიმე ამომრჩეველმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მათ თავის მისამართებზე აღმოაჩინეს დარეგისტრირებული პირები, რომლებიც მანამდე იმ მისამართებზე არ ცხოვრობდნენ. სახლემწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მსგავსი რეგისტრაციების გაუქმების შესახებ 259 განაცხადი მიიღო. საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით 956 მოქალაქეს გაუუქმა რეგისტრაცია.

<sup>41</sup> გაერთს ათამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომ. 25-ის მე-15 პარაგრაფი ამბობს, რომ „პირებს, რომლებსაც კენჭისყრის უფლება აქვთ, არ უნდა შეეზღუდოთ ეს უფლება დაუსაბუთებელი ან დისკრიმინაციული მოთხოვნით, როგორიც არის განათლება, საცხოვრებელი ადგილი ან წარმოშობა, ან პოლიტიკური აფილიაცია“. გარდა ამისა, „კარგი პრაქტიკის კოდექსის“ სახელმძღვანელო მითითება I. 1.1 c iii ამბობს, რომ „ხანგრძლივი ბინადრობის მოთხოვნის დაწესება ქვეყნის მოქალაქეებისთვის შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონალური არჩევნების დროს“. 1990 წელს გამოცემული ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პარაგრაფი 7.5-ს თანახმად წევრმა სახელმწიფოებმა „პატივი უნდა სცენ მოქალაქეთა უფლებას, დისკრიმინაციის გარეშე დაიკავონ პოლიტიკური ან საჯარო თანამდებობები დამოუკიდებლად ან პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წევრების რანგში“.

პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ. საპარლამენტო მანდატების მფლობელი პარტიებისთვის შედარებით ხანგრძლივი სარეგისტრაციო ვადაა დაწესებული; მათ არ მოეთხოვებათ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება და შეუძლიათ იმავე ნომრით იყარონ კენჭი, რომლითაც ბოლოს ჩატარებულ არჩევნებზე იყვნენ წარმოდგენილი.<sup>42</sup>

პარტიებისა და კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი ზოგადად ინკლუზიურად წარიმართა; საპარლამენტო მანდატის არმქონე 30 კანდიდატიდან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 11 განმცხადებელის განცხადება არასაკმარისი რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების ან სხვა სარეგისტრაციო მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო არ ჩაიბარა და 2-ს კი უარი უთხრა.<sup>43</sup> საპარლამენტო მანდატის მქონე ათმა პარტიამ წარადგინა განცხადი რეგისტრაცია. საერთო ჯამში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 27 პოლიტიკური პარტია დაარეგისტრირა საარჩევნო სუბიექტებად. კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში, 6 ოქტომბრამდე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმოდგენილი 19 კანდიდატთა სიიდან 18 დაარეგისტრირა.<sup>44</sup> მაშინ, როცა ბევრი პოლიტიკური პარტია პირობას დებდა, რომ შიდა გენდერულ კვოტირებას მიმართავდა, 1 185 საპარლამენტო კანდიდატიდან მხოლოდ 341 კანდიდატი იყო ქალი (29 პროცენტი); 2020 წელს გენდერული კვოტირების მოთხოვნის შედეგად პარტიების კანდიდატთა სიების 44 პროცენტს ქალები წარმოადგენდნენ. ქალები წამყვან ადგილებს იკავებდნენ 18 სიიდან 3 სიაში და კანდიდატთა პირველი ათეულების მხოლოდ 22 პროცენტს შეადგენდნენ.<sup>45</sup>

## წინასაარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო პერიოდი 27 აგვისტოს დაიწყო, როცა კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებამდე ერთ თვეზე მეტი იყო დარჩენილი, რასაც შედეგად უფასო საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებული დავები და ფინანსური ანგარიშების განსხვავებული ვადები მოჰყვა. წინასაარჩევნო კამპანია კონკურენტულ გარემოში, მაგრამ ნაკლებად ინტენსიურად მიმდინარეობდა; საარჩევნო სუბიექტებს ზოგადად შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანიები. წინასაარჩევნო კამპანიის რიტორიკისა და ვიზუალური მასალის ძალით დიდი ნაწილი განხეთქილებას აღრმავებდა და როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიები საუბრობდნენ ძალადობის, წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩაშლისა და წინასაარჩევნო

<sup>42</sup> საპარლამენტო მანდატების არმქონე პარტიებმა რეგისტრაციის გასავლელად უნდა წარმოადგინონ არანაკლებ 25 000 მხარდამჭერის ხელმოწერა მაშინ, როცა საპარლამენტო მანდატების მქონე პარტიებს არჩევნებში მონაწილეობა ხელმოწერების შეგროვების გარეშე შეუძლიათ.

<sup>43</sup> ერთ პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მისთვის რეგისტრაციის გაუქმების გამო. კიდევ ერთ პარტიას კი უარი ეთქვა მისი თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეჩერების გამო.

<sup>44</sup> ჩაბარებულთაგან კანდიდატთა ერთი სია ნაკლოვანი იყო; განმცხადებლებმა ვერ შეძლეს ამ ნაკლოვანებების გამოსწორება, რის გამოც სიაში კანდიდატთა მოთხოვნილ რაოდენობაზე ნაკლები კანდიდატი იყო წარმოდგენილი.

<sup>45</sup> „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ და „შეცვალე საქართველო“ ქალთა ყველაზე მაღალი წარმომადგენლობით გამოირჩეოდა, 52 და 51 პროცენტი შესაბამისად. „საქართველოსთვის“ 45 პროცენტი ქალებით იყო წარმოდგენილი. სკოლიციაში „ძლიერი საქართველო“ ქალები 30 პროცენტამდე იყვნენ წარმოდგენილი, მაშინ როდესაც „კოალიცია ცვლილებისთვის“ სიაში ქალები 26 პროცენტს შეადგენდნენ. კოალიციაში „ერთიანობა საქართველოს გადასარჩენად“ ეს ციფრი 23 პროცენტს უდრიდა. „ქართული ოცნების“ სიაში ქალები 16 პროცენტს შეადგენდნენ, აქედან მხოლოდ 2 პირველ ათეულში, და არცერთი 21-დან 51-მდე.

მასალის დაზიანების ცალკეულ ინციდენტების შესახებ.<sup>46</sup> ოპოზიციურ პარტიებს ინციდენტების უმრავლესობის გამოძიების მიზნით პოლიციისთვის არ მიუმართავთ, რასაც მათი აღქმით ადგილობრივი მთავრობების მხრიდან გამოძიების სურვილის არქონით ხსნიდნენ. ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის განცხადებით, წინასაარჩევნო პლაკატების გასაკრავად და, თავდაპირველად, წინასაარჩევნო კამპანიის ოფისების განსათავსებლად ადგილების ხელმისაწვდომობა სირთულეებთან იყო დაკავშირდებული.<sup>47</sup>

საარჩევნო სუბიექტები წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის ტრადიციული მეთოდებს იყენებდნენ და აგიტაციას ონლაინაც ეწეოდნენ; წინასაარჩევნო ღონისძიებები მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში მოკრძალებულად მიმდინარეობდ. <sup>48</sup> მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობამ თავისი პლატფორმებში

<sup>46</sup> 16 სექტემბერს პარტია „ახალი“ ლიდერს ქვები დაუშინეს პანკისში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) მიმდინარე აგიტაციის დროს. 19 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს თავს დაესხნენ ზუგდიდიში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით თავდამსხმელები „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული პირები იყვნენ, რასაც „ქართული ოცნება“ უარყოფს. 6 ოქტომბერს გურჯაანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებაზე სავარაუდოდ „ქართული ოცნებასთან“ აფილირებული პირების მიერ ორგანიზებული თავდასხმის შედეგად ერთი პირის პოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. 12 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ აქტივისტები სავარაუდოდ შეეცადნენ დაჯახებოდნენ პარტია „საქართველოსთვის“ წევრს; შემთხვევის შესახებ ინფორმირებულია პოლიცია. 22 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის საკუთრებაში არსებულ ავტომობილს ქვები დაუშინეს. 23 ოქტომბერს პარტია „საქართველოსთვის“ წევრს თბილისში რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი დაესხა თავს. 4 სექტემბერს წყალტუბოში „ქართული ოცნების“ წევრი გარდაიცვალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის მიერ მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ. პარტიების „ახალი“, „საქართველოსთვის“ ან „ძლიერი საქართველო - ლელო“ ლიდერებსა და აქტივისტებს დედოფლისწყაროში, გურჯაანში, თბილისსა და ქარელში მიმდინარე პარდაკარ შემოვლის დროს შეურაცხყოფა მიაყენეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისები ბათუმში, ქედაში, თბილისსა და ზესტაფონში დაარბიეს, გარედან დააზიანეს და გამარცვეს. ჩხოროწყვეტი პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა სავარაუდოდ დააზიანა „ქართული ოცნების“ აქტივისტის კუთვნილი ავტომობილი.

<sup>47</sup> შეიძლება მუნიციპალიტეტში საოფისე ფართების დაქირავებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ თავდაპირველად აღნიშნეს პარტიებმა „ახალი“, „პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოსთვის“, „ძლიერი საქართველო - ლელო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 10 მუნიციპალიტეტში ოპოზიციამ ასევე აღნიშნა, რომ შეზღუდული იყო წვდომა სააგიტაციო მასალის გასაკრავ საჯარო ადგილებზე, რადგან ისინი „ქართული ოცნების“ მიერ იყო დაკავებული ან შეზღუდული იყო ბილბორდებზე წვდომა. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ აღნიშნა, რომ ორ მუნიციპალიტეტში შეუქმნა პრობლემა წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებების ჩასატარებელი ადგილებზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

<sup>48</sup> ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები დააკვირდნენ 6 საარჩევნო სუბიექტის მიერ ორგანიზებულ წინასაარჩევნო კამპანიის 50 ღონისძიებას 20 მუნიციპალიტეტში. მათი შეფასებით წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებათა დაახლოებით 88 პროცენტი ხელმისაწვდომი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ზოგიერთმა პარტიამ საბოლოო შეკრებები გამართა, რომლებსაც ათასი ადამიანი დაესწრო. 20 ოქტომბერს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდამჭერი ერთობლივი მსვლელობა გამართეს, რომელზეც პრეზიდენტმა მონაწილებს სიტყვით მიმართა. „ქართული ოცნების“ დასკვნითი შეკრება 23 ოქტომბერს გაიმართა, რომელსაც რეგიონებიდან ჩამოსული მოქალაქეების საკმაოდ დიდი აუდიტორია ესწრებოდა. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ რამდენიმე შეტყობინება მიიღო ამ შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად საჯარო სექტორში დასაქმებულთა დავალების ან იძლების შესახებ.

სოციო-ეკონომიკური საკითხები შეიტანა, წინასაარჩევნო კამპანიის გზავნილები უმეტესწილად გეოპოლიტიკური საკითხებით იყო გაჯერებული. მმართველმა პარტიამ არჩევნები მშვიდობასა და ომს შორის გასაკეთებელ არჩევნად წარმოადგინა, სადაც მშვიდობას „ქართული ოცნება“ განასახიერებდა, ომს კი - მისი ოპონენტები. ოპოზიციურ პარტიათა უმრავლესობამ ეს არჩევნები საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ რეფერენცდუმად წარმოადგინა და შიშობს, რომ მთავრობის პოლიტიკამ შესაძლოა შეაფეროს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, რაც კონსტიტუციით გაცხადებული მიზანია.<sup>49</sup> მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა ღიად გამოხატეს თავისი განზრახვა, არჩევნების დასრულების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელით მიემართათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნით, რადგან მათი მოსაზრებით ამ პარტიის პოლიტიკური ხედვა ქვეყნისთვის დამანგრეველია და საჯარო განცხადებები გააკეთეს მირითადი ოპოზიციის აკრძალვის შესახებ. ქვეყნის პრეზიდენტი აქტიურად ჩაება წინასაარჩევნო პერიოდში და ოპოზიციურ პარტიებთან საჯარო კონსულტაციები გამართა წინასაარჩევნო კოალიციების ჩამოყალიბებასთან და პოტენციური მთავრობის შემადგენლობასთან დაკავშირებით, რაც პოტენციურად მისი მანდატის, ანუ სახელმწიფო უწყებებს შორის ნეიტრალური არბიტრის როლის შემსრულებლის, მიღმა მოქმედება იყო.<sup>50</sup> მმართველმა პარტიამ სამოქალაქო საზოგადოების არაერთი ორგანიზაცია გააკრიტიკა მომიცის წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის გამო.

2021 წელს ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციების ნაწილობრივ გათვალისწინებით საარჩევნო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა საჯარო სექტორში დასაქმებულთა წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ რეგულაციების გასაძლიერებლად.<sup>51</sup> თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის მარეგულირებელი ნორმები სრულად ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად

<sup>49</sup> კონსტიტუციის 78 მუხლის თანახმად: „საკონსტიტუციო ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში [უნდა] მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზუნველსაყოფად.“

<sup>50</sup> 49-ე მუხლში ნათქვამია, რომ „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“. კონსტიტუციის 56-ე მუხლის თანახმად მთავრობის ფორმირება პრეზიდენტის მანდატს სცდება, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს არჩევნებში ხმათა უმრავლესობით გამარჯვებული პარტია ასახელებს. საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის [გადაწყვეტილებით](#) პრეზიდენტი „პოლიტიკურად ნეიტრალური ფიგურაა, რომელიც არ ფლობს პოლიტიკურ მაღაფულებას“ და „ მთავრობის სხვადასხვა შტოებს შორის არბიტრის სიმბოლურ როლს ასრულებს“. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ის მოქმედებს კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად „საკონსტიტუციო ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში [უნდა] მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზუნველსაყოფად.“ 2023 წლის ოქტომბერში „ქართლი ოცნება“ წარუმატებლად შეცადა იმპიჩემენტი გამოეცხადებინა პრეზიდენტისთვის მთავრობის თანხმობის გარეშე განხორციელებული უცხოური ვიზიტების გამო და 2024 წლის 7 ოქტომბერს განაცხადა, რომ გეგმავს პრეზიდენტს ხელახალი იმპიჩემენტი გამოუცხადოს.

<sup>51</sup> კანონის თანახმად აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციის გამართვა საბიუჯეტო ან მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებებზე, ასევე საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიერ სამუშაო საათებში ან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. კანონი ასევე კრძალავს საარჩევნო სუბიექტებისთვის სახელმწიფო ან მუნიციპალურ ბალანსზე არსებული სივრცეებზე არათანაბარ წვდომას, სახელმწიფო ბალანსზე არსებული ნიშნავს წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას და შეხვედრების ჩატარებას საჯარო სექტორში დასაქმებულთა მონაწილეობით.

გამოყენებისგან დაცვას.<sup>52</sup> მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა მმართველ პარტიას შეუსაბამო თანამდებობრივ უპირატესობას ანიჭებდა და ზოგიერთ შემთხვევაში პარტიასა და სახელმწიფოს შორის გავლებულ ზღვარს შლიდა, რაც არ შეესაბამება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და კარგ პრაქტიკას.

<sup>53</sup> მიუხედავად იმისა, რომ არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, მთავრობამ წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი დიდი რაოდენობის ადამიანისთვის ფინანსური სტატუსის გაუმჯობესება გადაწყვიტა.<sup>54</sup> სექტემბერში პარლამენტმა აამოქმედა კანონი სასჯელმისჯილთა ფართო სპექტრის ამნისტიის შესახებ.<sup>55</sup> გარდა ამისა, ანგარიშებში აისახა ამომრჩეველთა, განსაკუთრებით კი საჯარო სექტორში დასაქმებულთა და ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა, დაშინების, იძულებისა და ზეწოლის ფაქტები, რაც შეშფოთებას ზრდის იმის თაობაზე, რომ ზოგიერთმა ამომრჩეველმა შესაძლოა თავისუფლად ვერ გააკეთოს არჩევანი და შეეშინდეს ხმის

<sup>52</sup> ეს წორმები არ შეეხება სახემწიფო რწმუნებულებს (რეგიონების გუბერნატორებს) და მერებს, რომელთა რამდენმე წარმომადგენელი აქტიურად ეწეოდა აგიტაციას. პრემიერ-მინისტრი მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის კოორდინატორი ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს დმანისის, ხარაგაულის, ქედის, ყვარელის, ოზურგეთის, რუსთავის, შუახევის, თბილისის, ზესტაფონისა და ზუგდიდის მერებისა და მერების მოადგილეების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში. ამბოლაურის მერმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში შვებულებას იღებდა. [2018 წლის საქართველოს შესახებ შესაბამისობის მოხსენების მეორე დანართში](#) GRECO ამბობს, რომ „დებულება, რომელიც მაღალი რანგის თანამდებობის პირებს წინასაარჩევნო აგიტაციის შეუზღუდავად წარმოების უფლებას აძლევს, დიდი ხანია გასაუქმებელია“.

<sup>53</sup> ეუთოს 1990 წლის [კოპენჰაგენის დოკუმენტის პარაგრაფი 5.4](#) მოითხოვს „სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების მკვეთრ გამიჯვნას“. 2016 წლის [ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებები საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების პრევენციისა და ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად](#) პარაგრაფი II.B.1.1 ამბობს, რომ „სამართლებრივი ჩართო უნდა უზრუნველყოფდეს უფექტურ მექანიზმებს, რომლებიც საჯარო უწყებებს საარჩევნო კამპანიის მიზნით საჯარო ღონისძიებების ჩასატარებლად თავისი მდგომარეობის უსამართლო უპირატესობით სარგებლობას აუკრძალავს“.

<sup>54</sup> 2024 წლის თებერვალში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა [განაცხადა](#), რომ 2024 წლის სექტემბრიდან უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესაძლებლობა ექნებოდათ, რაც დაახლოებით 3 000-მდე სტუდენტის დასაქმებას გულისხმობდა. იმავე თვეს მთავრობამ 150 000 პენსიონერზე მეტს, რომლებმაც 2023 წლამდე აიღეს საბანკო სესხები, საპროცენტო განაკვეთი [შეუმცირა](#); აპრილში პარლამენტმა ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების პენსიები [გაზარდა და 145 000-ზე მეტ გადასახადების გადამზღვდელს 2021 წლამდე გადაუხელი საგადასახადო დავალიანებები](#) [ჩამოაწერა](#). 2024 წლის ივნისში პრემიერ-მინისტრმა [განაცხადა](#), რომ 1 855 ფიზიკური პირი გათავისუფლდებოდა კოვიდ-19 პანდემიის დროს დაკისრებული ჯარიმებისგან, რამაც საერთო ჯამში 5.6 მილიონი ლარი შეადგინა.

<sup>55</sup> ოფიციალური დაანგარიშებით კანონის მიღების შემდეგ 1 000-ზე მეტი პატიმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან უნდა გაეთავისუფლდებონათ; კანონი ასევე შეხო დაახლოებით 22 000 პრობაციონერს, რომელთაგან 7 000 დაუყოვნებლივ გათავისუფლდა. კანონი ითვალისწინებს დანაშაულთა ფართო სპექტრისთვის სასჯელის სრულ ან ნაწილობრივ შემსუბუქებას მათთვის, ვინც სასჯელს იხდის, პირობით ვადამდე გათავისუფლებას ან შეწყალებას.

თავისუფლად მიცემა, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>56</sup>

პოლიტიკური პარტიების პროგრამებში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ქალებისთვის გამიზნული გზავნილების სიმცირე. მხოლოდ „ძლიერი საქართველოს“ ქალმა კანდიდატებმა გააუღერეს საჯაროდ გენდერული თანასწორობის, გენდერული კვოტირებისა და გენდერული სახელფასო სხვაობის საკითხები. „ქართულმა ოცნებმა“ ტრადიციული ოჯახური ღირებულებები წამოწია წინ და პარტიის წამყვანი ქალი კანდიდატებისთვის პარტიის ქალთა ფრთის ორგანიზებით რამდენიმე ღონისძიება ჩაატარა. ODIHR -ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიან დამკვირვებელთა დაკვირვების არეალში მოხვდა 39 წინასაარჩევნო ღონისძიება, რომელთაგანაც ქალი სპიკერები მხოლოდ 17 ღონისძიებაზე გამოვიდნენ სიტყვით. ქალები შედარებით აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიების ადგილობრივი კოორდინატორებისა და აქტივისტების რანგში. დაკვირვების არეალში მოქცეული წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე ქალები 44 პროცენტს შეადგენდნენ, ოცდაათ წელზე უმცროსი ახალგაზრდები კი 24 პროცენტს.

კანონით არ რეგულირდება წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება სოციალური სქელების მეშვეობით. ყველა საარჩევნო სუბიექტი აქტიურად ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას სოციალური ქსელების მეშვეობით და ძირითადად ეკონომიკურ, ადგილობრივი მნიშვნელობისა და ევროინტეგრაციის საკითხებზე იყო კონცენტრირებული; განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ოპოზიციის მიერ მმართველი პარტიის წინააღმდეგ

<sup>56</sup> 16 მუნიციპალიტეტში პროცესში ჩართულმა მხარეებმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას შეატყობინეს საჯარო მოხელეებსა და სოციალური შემწეობის მიმღებ პირებზე განხორციელებული სავარაუდო ზეწოლის შესახებ, რათა მათ მმართველი პარტიისთვის დაჭირათ მხარი. [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად](#), 838 100 ამომრჩეველი პენსიონერია და 181 900 პირი სოციალურ შემწეობებს იღებს; ყოველი მეოთხე დასაქმებული (1 334 600 დასაქმებულიდან 320,500) საჯარო სექტორში [მუშაობს](#). ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეები შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ დაკვირვების არეალში მოქცეული 64 მუნიციპალიტეტიდან 10-ში ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევები დაფიქსირდა. 18 ოქტომბერს სახალხო დამცველმა დაადასტურა ამომრჩეველთა დაშინების თაობაზე გაკეთებული განცხადებები, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ჩამორთმევის ფაქტები და ძალოვან სტრუქტურებს მოუწოდა დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება. ეუთოს კოპერაციების დოკუმენტის 7.7 პარაგრაფის მოთხოვნათა თანახმად, საარჩევნო კამპანია „სამართლიან და თავისუფალ გარემოში უნდა წარიმართოს, რომელშიც პარტიებსა და კანდიდატებს არც რომელიმე ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობა ან დაშება უზღღუდავს ან ართმევს თავისი შეხედულებებისა და კვალიფიკაციის თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას და არც ამომრჩევლებს უშლის ხელს გაეცნონ და განიხილონ აღნიშნული შეხედულებები და ხმა მისცენ დასჯის შიშის გარეშე“. 1996 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის ზოგადი კომენტარი ნომერი 25 აცხადებს, რომ „ამომრჩევლებმა უნდა შეძლონ თავისი მოსაზრებების დამოუკიდებლად, თავისუფლად, ძალადობის, ზემოქმედების, ზეწოლისა და რაიმე სახის მანიპულაციური ჩარევის გარეშე ფორმირება“.

მიმართული კრიტიკა. <sup>57</sup> სამამა ოპოზიციურმა კოალიციამ კოორდინირებული წინასაარჩევნო კამპანია გამართა და პოლიტიკური პარტიისა და პარტიის ლიდერების ანგარიშებით ძირითადად ორგანულ მასალას აქვეყნებდა. სოციალურ ქსელებში პარტიებისა და მათი ლიდერების ანგარიშებით წარმოებული წინასაარჩევნო აგიტაცია მეტწილად ნეიტრალური იყო; დაფიქსირდა დამამცირებელი და ცილისმწამებლური შინაარსის მასალის გამოქვეყნების მხოლოდ რამდენიმე ცალკეული შემთხვევა.

## წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხებს არეგულირებს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და საარჩევნო კოდექსი, რასაც ემატება ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შემუშავებული რეგულაციები. ODIHR -ის მიერ წარსულში გაცემული ზოგიერთი რეკომენდაციის შესაბამისად 2023 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით შემცირდა პოლიტიკური პარტიების მიერ ყოველწლიური დანახარჯების ზედა ზღვარი და აიკრძალა იურიდიული პირებისგან მიღებული შეწირულობების მიღება. <sup>58</sup> თუმცა, ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსებისა და, მათ შორის, მესამე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის არაორაზროვანი რეგულაციების და ასევე, კენჭისყრის დღემდე წინასაარჩევნო კამპანიის შუალედური ფინანსური ანგარიშების შესახებ მომზადებული დასკვნების გამოქვეყნების თაობაზე გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია კვლავაც გაუთვალისწინებელია.

პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც ბოლოს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე ერთპროცენტიანი ბარიერი გადალახეს, ყოველწლიურ საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ. <sup>59</sup> წინასაარჩევნო კამპანია ასევე შესაძლებელია დაფინანსდეს ფიზიკური პირებისგან მიღებული ფულადი შეწირულობით ან უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის მატერიალური ფასეულობით ან მომსახურებით. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ

<sup>57</sup> ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ 20 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში სოციალური ქსელებით მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის ტონისა და თემატური სურათის თვისებრივი ანალიზის მოსამზადებლად მისი მონიტორინგი განახორციელა. ანალიზი მოიცავდა 60-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტისა და დაინტერესებული მხარისგან შემდგარი შერჩევის აქტივობაზე დაკვირვებას „ფეისბუკის“, „ინსტაგრამისა“ და „ტიკटოკის“ პლატფორმებზე. [Meta Ad Library](#)-ს მონაცემებით არჩევნებამდე 30 დღის განმავლობაში „ახალისა“ და „ქართული ოცნების“ ოფიციალურ „ფეისბუკანგარიშებს“ სარეკლამო დანახარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ – 70 000 ევრო და 60 200 ევრო შესაბამისად. შემდეგ მოდიოდა „ძლიერი საქართველო - ლელო“, რომელმაც 45 900 ევრო დახარჯა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 32 200 ევრო და „გირჩი - აცც“ – 31 000 ევრო.

<sup>58</sup> აკრძალულია უცხოური, ანონიმური და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი და რელიგიური ინსტიტუტებიდან, და ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით გაღებული შეწირულობების მიღება.

<sup>59</sup> საბიუჯეტო დაფინანსება დაანგარიშდება მიღებული ხმების პროპორციულად. 2020 წლის არჩევნების შემდეგ საბიუჯეტო დაფინანსებას 14 პარტია იღებდა. მათგან „ქართული ოცნება“ ყოველწლიური ჯამური დაფინანსების 41%-ს, ანუ 12.5 მილიონ ლარს იღებდა. 2022 წლის „მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს ვერცერთი პარტია, რომელიც მოპოვებული საპარლამენტო მანდატების ერთ ნახევარს მაინც არ დაიკავებს. ამ ცვლილების თანახმად პარტიას დაფინანსება 6 თვის ვადით შეუწყდება, თუკი მისი წევრების ნახევარი დაუსაბუთებლად არ ესწრება საპარლამენტო სესიებს; ორმა პარტიამ დაკარგა საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლება. ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა პოლიტიკური პარტიების ყოველწლიური დანახარჯების ზედა ზღვარი ერთიანი შუდა პროდუქტი 0.1 პროცენტიდან 0.04 პროცენტამდე შეამცირა, რაც მიმდინარე წლისთვის 32 მილიონ ლარს შეადგენს.

ყოველწლიურად 60 000 ლარის ოდენობის შეწირულობა გაიღონ. <sup>60</sup> ზოგიერთი ოპოზიციური პარტია აღნიშნავდა, რომ არ ფლობდა საკმარისი რაოდენობის ფინანსურ სახსრებს წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად, რასაც ასევე ემატებოდა შეწირულობების სიმცირე. 2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე მეტი დაფინანსება მიიღო და მნიშვნელოვანწილად გადააჭარბა სხვა საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ დაფინანსებას. <sup>61</sup> მმართველი პარტია თავის ყველა ოპონენტთან შედარებით დიდი ფინანსური უპირატესობით სარგებლობდა. ანტიკორუფციულმა ბიურომ პოლიტიკური პარტიისთვის გაღებული შეწირულობების საშუალოდ 75 პროცენტი გამოიკვლია, შეამოწმა დონორების ფინანსური მდგომარეობა, ჰქონდათ თუ არა მათ შეწირულობების გაღების შესაძლებლობა. <sup>62</sup> დეტალური შესწავლა ასეთი მაღალი ხარისხი ფიზიკურ პირებს შეწირულობების გაკეთების სურვილს უკარგავს.

2023 წლიდან პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსების ზედამხედველობის უფლებამოსილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან ახლად დაფუძნებულმა ანტიკორუფციულმა ბიურომ გადაიბარა. ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელს ნიშნავს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ექვსი წლის ვადით; ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიასთან საუბარში პროცესში ჩართულმა რამდენიმე მხარემ უწყების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ თანმდევი შეშფოთება გამოთქვა. <sup>63</sup> წინა საზედამხედველო უწყებისგან განსხვავებით, ანტიკორუფციული ბიურო უზუნველყოფილია დამოუკიდებელი ბიუჯეტითა და არსებითად დიდი რაოდენობის ადამიანური რესურსებით. <sup>64</sup> მას შეუძლია პოლიტიკური პარტიას დაფინანსების მოთხოვნათა შეუსრულებლობისა და წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევის გამო სანქციები დაუწესოს, რაც სასამართლომ უნდა დაადასტუროს. პოლიტიკურ პარტიებს მოეთხოვებათ ყოველწლიური ანგარიშები წარმოადგინონ და ასევე, ანტიკორუფციული ბიუროს თავისი მანდატის შესაბამისად შეუძლია მოითხოვოს

<sup>60</sup> 1 ევრო უდრის დაახლოებით 3 ლარს.

<sup>61</sup> [ანტიკორუფციული ბიუროს მონაცემების](#) თანახმად 2024 წლის 25 ოქტომბრისთვის „ქართული ოცნების“ ფონდი 14.5 მილიონი ლარით შეივსო; მეორე ადგილზე „ახალი“ (9.5 მილიონი ლარით), რომელსაც მოსდევს „ძლიერი საქართველო - ლელო“ (6.6 მილიონი ლარით).

<sup>62</sup> ანტიკორუფციული ბიუროს ანგარიშის თანახმად 2024 წელს 16 პარტიის სასარგებლოდ გაღებული 1 190 შეწირულობა შემოქმდა. „ევროპული საქართველოს“, „თაობები საქართველოსთვის“, „ქართული ოცნების“, „საქართველოს ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიისა“ და „სახალხო პარტიის“ შემთხვევაში ანტიკორუფციულმა ბიურომ ყველა შემოწირულობის შემოქმება გადაწყვიტა.

<sup>63</sup> ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელს პრემიერ-მინისტრი ირჩევს ექვსი წლის ვადით სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისიის მიერ დასახელებული კანდიდატებისგან. „ვენეციის კომისია“ 2023 წელს [ანტიკორუფციულ ბიუროსთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ დასკვნაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ნორმების შესახებ](#) შერჩევის პროცესში კონკურენციის ელემენტს დადებითად აფასებდა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ კომისიის შემადგენლობა, რომლის უმრავლესობასაც პოლიტიკური უმრავლესობის წარმომადგენლები შეადგენდნენ „არ იყო საკმარისად პლურალისტური“. ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის 2020 წელს გამოქვეყნებულ [პოლიტიკურ პარტიათა რეგულირების ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებების 277-ე პარაგრაფში](#)

რეკომენდაციის სახით აღნიშნულია, რომ „კანონმდებლობა უნდა განმარტავდეს მარეგულირებელი ორგანოს წევრთა დანიშნის პროცედურას და მკვეთრ ზღვარს უნდა ავლებდეს მათ უფლებამოსილებებსა და საქმიანობებს შორის. წევრთა დანიშვნის შესაბამისი პროცედურები სიფრთხილით უნდა გაიწეროს, რათა უზუნველყოფილი იყოს წევრების პოლიტიკური ზეგავლენისგან დაცვა“.

<sup>64</sup> ანტიკორუფციულ ბიუროს 70 თანამშრომელი ჰყავს, მათ შორის არიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოფილი საჯარო მოხელეები.

წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების გარკვეული პერიოდულობით წარმოდგენა.<sup>65</sup>

კანონის მოთხოვნის შესაბამისად ყველა საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინა შუალედური ფინანსური ანგარიშები, რომლებიც ანტიკორუფციულმა ბიურომ დაუყოვნებლივ განათავსა თავის ვებგვერდზე, რითიც ხელი შეუწყო საზოგადოების მხრიდან მათი დეტალური შესწავლის შესაძლებლობას<sup>66</sup> ანგარიშები ასახული ინფორმაცია დეტალიზაციის დონით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და მხოლოდ დასკანირებული დოკუმენტების სახით აიტვირთა, რამაც გარე ანალიზის წარმოება გაართულა, ეს კი მნიშვნელოვნად აზიანებს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობას.<sup>67</sup> კენჭისყრის დღემდე ერთი დღით ადრე ანტიკორუფციულმა ბიურომ გამოაქვეყნა თავისი წარმოდგენილი შუალედური ანგარიშების შესახებ მომზადებული თავისი დასკვნები და განაცხადა, რომ ხუთი საარჩევნო სუბიექტისგან განმარტებების მიღება სჭირდებოდა ონლაინრეკლამასთან, უცხოურ ვიზიტებთან, საჯარო შეხვედრებთან და ონლინმედიასთან დაკავშირებით.<sup>68</sup> ანტიკორუფციულ ბიუროს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების ნორმების დარღვევის გამო სანქციები კენჭისყრის დღემდე არ დაუწესებია.<sup>69</sup> პირველ ორ შუალედურ ანგარიშში „ქართულმა ოცნებამ“ და პარტია „ახალმა“ ყველაზე დიდი დანახარჯები წარმოადგინეს; „ქართული ოცნება“ - 9.1 მილიონი ლარი, „ახალი“ - 5.6 მილიონი ლარი.<sup>70</sup>

<sup>65</sup> მიუხედავად იმისა, რომ ანტიკორუფციულ ბიუროს ასევე შეუძლია შეტყობინებები მიიღოს იურიდიული და ფიზიკური პირებისგან, კონკრეტულად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან ინფორმაციის მიღებით არ არის დაინტერესებული. ანტიკორუფციულმა ბიურომ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ზოგიერთმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია არ გამოეპასუხა მათ ღიად გაცხადებულ შეთავაზებას თანამშრომლობის თაობაზე.

<sup>66</sup> საარჩევნო სუბიექტებად დარეგისტრირებულმა 27-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა პირველი შუალედური ანგარიშები მაშინ, როცა მეორე ანგარიში ყველა 18 პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა, რომლებმაც თავისი კანდიდატების სიები დაარეგისტრირეს. წინასაარჩევნო კამპანიის შუალედური ფინანსური ანგარიშის შაბლონი მოიცავს 19 ცხრილს, რომელშიც უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია შემოწირულობების, საწევრო შენატანების, სესხების, პერსონალის ანაზღაურების, საქმიანი ვიზიტებისა და სარეკლამო ხარჯების, ასევე არამატერიალური აქტივებისა და უძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებებისა და დაგირავებული და დაქირავებული შენობა-ნაგებობების შესახებ. ანტიკორუფციული ბიურომ განაცხადა, რომ მასზე დაკისრებული ამოცანების კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, დასკვნებს კენჭისყრის დღემდე არ გამოაქვეყნებდა.

<sup>67</sup> პოლიტიკურ პარტიათა რეგულირების ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებების 28-ე პარაგრაფში ნათელვამია, რომ „ინფორმაციის გაციფრულება და მისი ციფრული, მარტივად მოსამებნი და ხელახლა გამოსაყენებული სახით მარეგულირებელი ორგანოსთვის გადაცემა ხელს შეუწყობს ზედამხედველობას და შესაბამისად, შეამცირებს ქაღალდზე შესასრულებელი პროცედურების საჭიროებას“.

<sup>68</sup> ანგარიშის თანახმად განმარტება უნდა მიეწოდებინა პარტიას „ახალი“, „ქართული ოცნება“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ძლიერი საქართველო-ლეო“ და „ერთიანი ნაციონალური მომრაობა“. ანტიკორუფციულმა ბიურომ ანგარიშების სისწორე შეამოწმა მიწოდებული ინფორმაციის შეგროვებულ მონაცემებთან შედარებით და ექვსი საველე მონიტორინგი და მედიამონიტორინგი აწარმოა, რითიც საბაზრო ფასებს შეადარა ანგარიშებში პოლიტიკური პარტიების მიერ ასახალი = დანახარჯები.

<sup>69</sup> წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ანტიკორუფციულმა ბიურომ ხუთი კანდიდატი დააჯარიმა უძრავი ქონების შესახებ დეკლარაციის წარმოდგენის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო.

<sup>70</sup> წინასაარჩევნო კამპანიის პირველი ორი შუალედური ფინანსური ანგარიშების თანახმად, პოლიტიკურმა პარტიებმა ონლაინ რეკლამაზე 1.36 მილიონი ლარი დახარჯას, რომლიდანაც 0.5 მილიონი ლარი „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა, 407,000 ლარი „ძლიერი საქართველო -ლელომ“ და 352,000 ლარი „ახალმა“.

27 აგვისტოსა და 24 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ რამდენიმე იურიდიული და ფიზიკური პირი „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად“ გამოაცხადა.<sup>71</sup> თავის გადაწყვეტილებაში ანტიკორუფციულმა ბიურომ განმარტა, რომ ეს პირები წინასაარჩევნო აგიტაციას ოპოზიციური პარტიების გზავნილების შესაბამისად ეწეოდნენ.<sup>72</sup> ამ სახელდებით დაზარალებული ორგანიზაციები, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იმავე ფინანსურ რეგულაციესა და შეზღუდვებს უნდა დაქვემდებარებოდა, რაც პოლიტიკური პარტიებისთვის არის გათვალისწინებული, მათ შორის საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული დაფინანსებასთან დაკავშირებით დაწესებული აკრძალვა. შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობას-საქართველომ“ დროებით შეაჩერა სადამკვირვებლო საქმიანობა, რასაც საერთაშორისო რეაგირება მოჰყვა. 1-ელ ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილებება კანონის შესაბამისი იყო, თუმცა ამავე დროს ანტიკორუფციულ ბიუროს მათი გადახედვა და წინასაარჩევნო პერიოდში ამგვარი გადაწყვეტილებებისგან თავის შეკავება მოსთხოვა. 2 ოქტომბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ გააუქმა ყველა მიღებული გადაწყვეტილება და ამ ქმედების არგუმენტად „ეროვნული ინტერესები“ დაასახელა.<sup>73</sup> ანტიკორუფციული ბიურო და სასამართლო ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად ფართო დისკრეციულ ძალაუფლებას ფლობენ, რაც ნეგატიურად აისახებოდა მათი დამოუკიდებლობის აღქმაზე. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიასთან საუბრებში რამდენიმე დაინტერესებული მხარე ამგვარ მიდგომებს პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევდა.<sup>74</sup> გარდა ამისა, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების

<sup>71</sup> მესამე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია არ რეგულირდება; თუმცადა, კანონის თანახმად გაერთიანებებს, რომლებიც არ არიან საარჩევნო სუბიექტებად დარეგისტრირებული, შესაძლებლობა აქვთ აწარმოონ კამპანია იმ შემთხვევაში, თუ ისინი საჯაროდ განაცხადებენ, რომ მათი განზრახვა ძალაუფლების მოპოვებაა და ასეთი სუბიექტებს წინასაარჩევნო დაფინანსების მარეგულირებელი დებულებების თანახმად „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე“ სუბიექტად ცხადდება.

<sup>72</sup> 27 აგვისტოს ანტიკორუფციულმა ბიურომ მოძრაობა „თავისუფლების მოედანი“ და ორგანიზაცია „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალარტიული დემოკრატიისთვის“, მათი დირექტორი და 24 წევრი „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად“ [გამოაცხადა](#). 24 სექტემბერს ეს სტატუსი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და მისი აღმასრულებელი დირექტორს და ასევე, მოძრაობა „აირჩიე ევროპას“, მის დირექტორსა და საბჭოს წევრებსაც მიენიჭათ. მაშინ, როცა კანონის განმარტების თანახმად „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტი“ არის პირი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილს ღიად აცხადებს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ამ დებულების ინტერპრეტაცია კიდევ უფრო გააფართოვა წინასაარჩევნო კამპანიის ნებისმიერი აქტივობის მოსაცველად.

<sup>73</sup> „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ ეს სტატუსი ხელს შეუშლის ამ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებზე სადამკვირვებლო პროცესში, და რომ ანტიკორუფციულ ბიუროს სურდა ამ გზით საარჩევნო პროცესის დისკრედიტირება აერიდებინა თავიდან.

<sup>74</sup> 6 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა და მას მოძრაობა „აირჩიე ევროპისა“ და მისი დამფუძნებლების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის განხორციელების მიზნით მათ საბანკო ინფორმაციაზე წვდომის უფლება მისცა. 2024 წლის 17 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

არეალში მოხვდა მესამე მხარის მიერ წარმოაბული წინასაარჩევნო აგიტაციის შემთხვევები, რომლებზეც ანტიკორუფციულ ბიუროს რეაგირება არ მოუხდენია.<sup>75</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ფართო მანდატისა და ფინანსების მონიტორინგის ეფექტური კომპეტენციების მქონე სპეციალური უწყების დაფუძნება შეესაბამება ODIHR-ისა და GRECO-ს მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს, ბიუროს მიერ საკანონმდებლო ნორმების გამოყენება შერჩევითი იყო და არ იყო თანმიმდევრული, რაც შემფოთებას ზრდიდა მისი პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების შესახებ. მთლიანობაში წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის გამჭვირვალობა და ეფექტურობა შეზღუდული იყო კვლავაც გაუთვალისწინებელი საკანონმდებლო ხარვეზებისა და შეზღუდული აღსრულების გამო.

## მედია

მედიაგარემო მრავალფეროვანი, მაგრამ ძალზედ პოლარიზებულია და ფართო პოლიტიკური ძალაუფლების მქონე სტრუქტურებს აძლიერებს.<sup>76</sup> მედიასაშუალებები ფინანსური გამოწვევებით სავსე გარემოში მუშაობენ, რასაც სარეკლამო ბაზარზე არსებული დეფიციტიც ემატება, რის გამოც ისინი დამოკიდებული ხდებიან პოლიტიკურ და ბიზნესინტერესებზე.<sup>77</sup> ჟურნალისტების უსაფრთხოება ბოლო დროს მათ წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი თავდასხმის, დაშინებისა და ზეწოლის აქტების გამო კვლავაც შემფოთების უმთავრესი საგანია.<sup>78</sup> სამოქალაქო ცილისწამების პროცედურებთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად, სამოქალაქო ცილისწამების საფუძვლით ბოლო დროს წარმოშობილი საჩივრები ოპოზიციასთან აფილირებული მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებებით დასრულდა, რაც მირს უთხრის საგამოძიებო ჟურნალისტიკას და კიდევ უფრო მეტი

<sup>75</sup> სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ ვიდეორგოლი გამოაქვეყნა, რომელიც ამომრჩევლებს მოუწოდებდა, არ მიეცათ ხმა ძირითადი ოპოზიციური პარტიებისთვის.

<sup>76</sup> ყველაზე პოპულარული არხებს შორის არის ტელეკომპანიებია „იმედი“, „რუსთავი 2“ და „პოსტ ტე“, რომლებიც აღქმულია, როგორც „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული მედიასაშუალებები, და „მთავარი არხი“, „ტე პირველი“ „ფორმულა“, რომლებიც, თავის მხრივ, ოპოზიციურ პარტიებთან აფილირებულ არხებად მოიაზრება.

<sup>77</sup> „საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს“ და ტელეკომპანია „აჭარასა“ და რადიოს შედარებით მცირე რაოდენობის მაყურებელი ჰყავს მაშინ, როცა კომერციული ტელეკომპანიები პოლიტიკური ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებს წარმოადგენს. შედარებით მცირე ზომის, უპირატესად ინტერნეტმაუწყებლები, დამოუკიდებელი გაშუქების მთავარი წყარო არიან და ძირითადად საერთაშორისო გრანტებზე არიან დამოკიდებული და შემფოთებას გამოთქვამენ, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი სავარაუდო ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს მათ საქმიანობაზე. გაერთიანებული ერების, ეუთოს, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის [2018 წლის ერთობლივი განცხადება](#) ამბობს, რომ პოლიტიკოსებმა და საჯარო თანამდებობის პირებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებების განხორციელებისგან, რომლებიც მირს უთხრიან მედიის დამოუკიდებლობას, მაგალითად: მათ საქმიანობაში პოლიტიკურ ჩარევით ან მარეგულირებელი ორგანოს ან კომერციული, სათემო ან საზოგადოებრივი მედია საშუალების კომერციულ კონტროლით.

<sup>78</sup> იხ. ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმის 18 ივნისის [საგანგებო განცხადება](#) და 19 სექტემბერს გამოქვეყნებული [სახელმწიფოს პასუხი](#). 6 ივლისს ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენელმა „დაგმო პროტესტების გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი მაღადობის ფაქტები...“.

გამოწვევის წინაშე აყენებს ფინანსურად მყიფე მედია გარემოს. <sup>79</sup> ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიასთან საუბარში პროცესში ჩართული მხარეები ასევე აღნიშნავდნენ, რომ საჯარო ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვან ბარიერებთან არის დაკავშირებული. <sup>80</sup>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ComCom) ზედამხედველობას უწევს სამაუწყებლო მედიასაშუალებებსა და გადაწყვეტილებებს იღებს მედიასთან დაკავშირებული საჩივრებზე, რომლებიც საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევების შემთხვევაში სავალდებულო სასამართლო განხილვას უნდა დაექვემდებაროს. <sup>81</sup> საკანონმდებლო ნორმების თანახმად მაუწყებლები ვალდებული არიან დაიცვან მიუკერძოებლობა და იმოქმედონ სამართლიანი და პლურალისტური მიდგომებით; თუმცა, აღნიშნული მხოლოდ თვითრეგულაციის საგანია მაშინ, როცა უფასო და ფასიანი რეკლამის განთავსებისა და ასევე დებატების გამართვის მარეგულირებელი ნორმების აღსრულებას კომუნიკაციების კომისია უწევს მეთვალყურეობას. კომუნიკაციების კომისიის წევრთა დანიშვნის პროცედურა არ უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას, რის გამოც ეს უწყება სანქციების დაწესების მეტისმეტად დიდ ძალაუფლებას ფლობს <sup>82</sup>

მაუწყებელთა უმრავლესობას, მათ შორის კომერციულ მაუწყებლებს, კანონი ავალდებულებს მნიშვნელოვანი ოდენობის საეთერო დრო საარჩევნო სუბიექტებს

<sup>79</sup> სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია [საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის](#) თანახმად სამოქალაქო ცილისწამების დაახლოებით 36 საჩივარი, უმეტესწილად საჯარო თანამდებობის პირების მიერ ტელეკომპანია „ფორმულას“, „მთავარი არხისა“ და „ტვ პირველის“ წინააღმდეგ, განხილვას ელოდება. მიმდინარე წლის დასაწყისიდან მხოლოდ „ტვ პირველს“ სასამართლოებმა ზარალის ანაზღაურების მიზნით საერთო ჯამში 45, 565 ლარის გადახდა დაავისრეს.

<sup>80</sup> 2023 წლის 22 ნოემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა [დადგენილება](#). რომელიც აკრედიტებულ უურნალისტებს პარლამენტის შენობაში მუშაობაზე შეზღუდვას უწესებდა.

<sup>81</sup> 27 აგვისტოს კომუნიკაციების კომისიამ 55 სატელევიზიო არხის რაოდენობრივი მონიტორინგი დაიწყო; გარდა ამისა, მიმდინარეობდა 7 სატელევიზიო არხის რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგიც, მაგრამ კენჭისყრის დღემდე დასკვნები არ გამოიქვეყნებია. 2023 წელს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ აღსრულების ზომების გატარება დაიწყო „სიძულვილის ენისა“, „ტერორიზმის წახალისებისა“ და „ბილწისტყვაობის“ წინააღმდეგ, რაც წარსულში თვითრეგულირების საგანს წარმოადგენდა და ამ კანონის ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მედიასერვისების დირექტივასთან დაახლოებას ემსახურებოდა.

<sup>82</sup> 2023 წლის ნოემბერში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, რომლებითაც „კონკურენციის კომისიას“ კომუნიკაციის კომისიის წევრობისთვის კანდიდატთა მოკლე სიის შერჩევა დაევალა, მთავრობა კვლავაც ინარჩუნებს კომუნიკაციების კომისიის მმართველი გუნდის შერჩევის პროცესზე შეუსაბამო ზეგავლენას. გაერთიანებული ერების, ეუთოსა და ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის წარმომადგენელთა [2003 წლის ერთობლივ განცხადებაში](#) ნათქვამია, რომ „ყველა საჯარო უწყებას, რომელიც მედიის მარეგულირებელის ფორმალურ ძალაუფლებას ფლობს, დაცული უნდა იყოს ჩარევისგან [...] მათ შორის წევრთა დანიშვნის ისეთი პროცესით, რომელიც გამჭვირვალე იქნება და ქმნის სივრცეს საზოგადოებრივი მონაწილეობისთვის და არ კონტროლდება რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მიერ“. დაჯარიმების შემდეგ განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში კომუნიკაციების კომისიას მაუწყებლისთვის ლიცენზიის შეჩერება აქვს.

გამოყოფნა.<sup>83</sup> თუმცა, ODIHR-ის მიერ გაცემული რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ უფასო საეთერო დრო და დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობა მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ჰქონდათ.<sup>84</sup> გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის მარეგულირებელმა ნორმებმა, რომლებიც იყენებენ ცნებას „სხვა საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო მიზნებს ემსახურებიან“ და მათმა ვიწრო გაგებით ინტერპრეტირებამ კომუნიკაციების კომისიასა და სასამართლოებს ექვსი მაუწყებელის დააჯარიმების შესძლებლობა მისცა და შეუსაბამოდ შეზღუდა ოპოზიციურ პარტიათა უფლება წინასაარჩევნო აგიტაცია მედიასაშუალებებით ეწარმოებინათ. (იხ. „საარჩევნო დავების გადაწყვეტა“).<sup>85</sup>

მაუწყებლები ვალდებული არიან შეამოწმონ პოლიტიკური პარტიების რეკლამების შინაარსი<sup>86</sup> „ქართული ოცნების“ საჩივრების შედეგად სამი ტელეკომპანია არაერთხელ დაჯარიმდა იმის გამო, რომ ეთერში არ განათვას „ქართული ოცნების“ კონკრეტული წინასაარჩევნო რეკლამები, რომლებიც ტელეკომპანიის განმარტებით კანონის, მათ შორის „სიძულვილის ენის შესახებ“ ნორმებს, არღვევდა. <sup>87</sup> ზოგიერთი ტელეკომპანიის მიერ კომუნიკაციების კომისიისთვის წაყენებულ წინა მოთხოვნებს უარი ეთქვა პროცედურული საფუძვლით. შედეგად მთავრობასთან დაკავშირებულმა ორმა ტელეკომპანიამ, რომელთა მონიტორინგსაც ODIHR-არჩვნებზე სადამკვირვებლო მისია აწარმოებდა, 11 ოქტომბერს

<sup>83</sup> საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან თითოეულ საათში ჯამში 5 წუთი გამოყონ უფასო საეთერო დროისთვის, რომელიც „კვალიფიციურ“ საარჩევნო სუბიექტებს შორის უნდა გადანაწილდეს მაშინ, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელმა კომერციულმა ტელეკომპანიებმა საერთო ჯამში ყოველ სამ საათში ერთხელ ჯამში 7.5 წუთი უნდა გამოყონ. დამატებით, და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ყოველ ერთ საათში უფასო საეთერო დროის ჯამში 5 წუთი გამოყო, რაც 12 „არაკალიფიციურ“ საარჩევნო სუბიექტზე გადანაწილდა; გარდა ამისა, თითოეულ საარჩევნო სუბიექტს ყოველდღიური პირდაპირი გაშუქების 20 წუთი დაეთმო მათ მიერ გამართული წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებების გასაშუქებლად.

<sup>84</sup> კანონის თანახმად საპარლამენტო მანდატების მფლობელი პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო ბლოკები უფასო საეთერო დროს იღებენ იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ. პარტია „საქართველოსთვის“ მცდელობას, დამატებითი სამართლებრივი საფუძვლით უფასო საეთერო დრო მიეღო, უარი ეთქვა კომუნიკაციების კომისიისა და სასამართლოების გადაწყვეტილების საფუძველზე. ODIHR-ისა და „ვენეციის კომისიის“ [2021 წლის ერთობლივი განცხადება](#) ხაზგასმით ამბობს, რომ „პოლიტიკური პარტიებისთვის უფასო საეთერო დროის თანაბარი საფუძვლით გამოყოფა თანაბარი საარჩევნო უფლებების ნაწილია“.

<sup>85</sup> „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ტელეკომპანია და რადიო „აჭარა“, „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“ და „სილვ მედია“ გააფრთხილეს მაშინ, როცა „მოქალაქეები“, „ევროპული საქართველო“ და „სტრატეგია აღმაშენებლი“ თითოეული 10 000 ლარით დააჯარიმეს შესაბამისად კომუნიკაციების კომისიამ და სასამართლოებმა ერთი და იმავე, განმეორებით ჩადენილი დარღვევისთვის.

<sup>86</sup> [უზენაესი სასამართლოს 2021 წლის გადაწყვეტილებითა და კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის სახელმძღვანელო მითითებების](#) თანახმად მაუწყებლებმა უნდა უზუნველყონ, რომ რეკლამების შინაარსი შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საკანონმდებლო მოთხოვნებს, მათ შორის ბუნდოვნად განმარტებულ ნორმებს „აგრესიისა და ქაოსის წაქეზებისა“ და „საფრთხის შემცველი ქმედებების“ შესახებ. გაერთიანებული ერების, ეუთოს, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის [2009 წლის ერთობლივი განცხადება](#) ადგენს, რომ მედია „გათავისუფლებული უნდა იყოს პარტიებისა და კანდიდატების მიერ უკანონო განცხადებების გავრცელების პასუხისმგებლობისგან“.

<sup>87</sup> „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“ და „ფორმულა“ მთლიანობაში 15,000 ლარით დაჯარიმდნენ იმ სარეკლამო რგოლების გამუქებაზე უარის თქმის გამო, რომლებშიც სამოქალაქო საზოგადოების წევრები „მორალური დეგრადაციის“ კონტექსტში იყვნენ წარმოდგენილი და სადაც მშვიდობასა და ომს შორის გასაკეთებელი არჩევანი ომით დაზარალებული უკრაინის ფოტოებით იყო წარმოდგენილი.

სრულად შეწყვიტა ოპოზიციურ პარტიათა წინასაარჩევნო რეკლამების გაშუქება.<sup>88</sup> „ძლიერი საქართველოსა“ და „ერთიანობა საქართველოს გადასარჩენად“ საჩივრები სასამართლომ ძალაში დატოვა, მთავრობასთან დაკავშირებული რამდენიმე მაუწყებელი კი დაჯარიმდა.<sup>89</sup> თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი დაჩარებულ პროცედურებს არ უზრუნველყოფს, კანონდარღვევები არ გამოსწორებულა, რაც ძირის უთხრის ოპოზიციის შესაძლებლობებს თანაბარი პირობებით აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია.<sup>90</sup>

18-დან 25 ოქტომბრის პერიოდში ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ექვსი ტელეკომპანიისა და ორი ონლაინ მედიასაშუალების მონიტორინგი განახორციელა.<sup>91</sup> ჩატარებულმა მედიამონიტორინგმა ნათლად წარმოაჩინა მედიამონიტორინგით დაფარული ყველა მედიასაშუალების პოლიტიკური მიკერძოება; კანონის მოთხოვნის მიუხედავად კომერციული ტელეკომპანიები არ იცავდნენ ახალი ამბების მოუკერძოებელი გაშუქების ვალდებულებას. ტელეკომპანიების უმრავლესობამ ახალი ამბების გაშუქებისას წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების უდიდესი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ მიუძღვნა. თუმცა, კომერციული ტელეკომპანიების გაშუქების ტონი თანხვედრაში იყო საჯაროდ აღქმულ პარტიულ მიკერძოებასთან. <sup>92</sup> „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მაყურებელს ყველა საარჩევნო სუბიექტი უმეტესწილად პოზიტიური ან ნეიტრალური კუთხით წარმოაჩინა (89 პროცენტი) წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების უდიდესი წილი კი „ქართულ ოცნებას“ დაუთმო (58 პროცენტი). „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გამართულ ერთადერთ დებატებში მთავრობისა და ძირითადი ოპოზიციური პარტიების

<sup>88</sup> ტელეკომპანიებმა „იმედია“ და „პოსტ ტე-გ“ 10 ოქტომბერს განაცხადეს, რომ „დისბალანსის აღმოფხვრის მიზნით “აღარ გააშუქებდნენ „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის“ რეკლამებს.

<sup>89</sup> „ძლიერი საქართველო - ლელოს“ არაერთი საჩივრის შედეგად „იმედი“ და „რუსთავი 2“ დაჯარიმდნენ იმის გამო, რომ შეწერილი მათი ფასიანი რეკლამის გაშუქება მაშინ, როცა პარტიას უფასო საეთერო დრო არ ეკუთვნოდა. „ძლიერი საქართველო - ლელოს“ მოთხოვნა დაუყოვნებლივ მომხდარიყო აღსრულება, არ დაკმაყოფილდა. დამატებით, „ერთიანის ნაციონალურის მოძრაობის“ საჩივრების საფუძველზე „იმედი“, „რუსთავი 2“, „მაესტრო“ და „პოსტ ტე“ დაჯარიმდნენ მათი რეკლამების გაშუქებაზე უარის თქმის გამო.

<sup>90</sup> იხ. 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.8 პარაგრაფი, რომლის თანახმადაც მონაწილე ქვეწებმა უნდა დაადასტურონ, რომ „არ იარსებებს არანაირი სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დაბრკოლება, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მსურველ არცერთ პოლიტიკური ჯგუფებსა თუ პირის, არადისკრიმინაციულ საფუძველით ხელს შეუშლის მედიაზე თავისუფალ წვდომაში“. იხ. აგრეთვე „კარგი პრაქტიკის კოდექსის სახელმძღვანელო მითითებების“ ნაწილი i.2.3., რომელიც მადგენს შესაძლებლობათა თანასწორობის აუცილებლობას.

<sup>91</sup> საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ფორმულა“, „იმედი“, „მთავარი არხი“, „ტე პირველი“ და „რუსთავი 2“ და ასევე „ნეტგაზეთი“ და „tabula.ge“

<sup>92</sup> საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, „ფორმულამ“, „იმედმა“, „მთავარმა არხმა“, „ტე პირველმა“ და „რუსთავი 2“-მა გაშუქების 60, 56, 82, 51, 51 და 80 პროცენტი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ახალი ამბების გაშუქებას დაუთმეს. „ფორმულამ“ „ქართული ოცნების“ კამპანიის გაშუქების 89 პროცენტი ნეგატიურად გააშუქა მაშინ, როცა „კოალიცია ცვლილებისთვის“ გაშუქების 88 პროცენტი დადებითი იყო. „იმედზე“ „ერთიანობა საქართველოს გადასაარჩენად“ კამპანიის გაშუქების 83 პროცენტი ნეგატიური იყო მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ გაშუქების დადებითი იყო. „მთავარ არხზე“ „ქართული ოცნების“ გაშუქების 90 პროცენტი უარყოფითი იყო მაშინ, როცა „კოალიცია ცვლილებისთვის“ გაშუქების 82 პროცენტი დადებითი იყო. . „ტე პირველმა“ „ქართული ოცნების“ კამპანიის გაშუქების 91 პროცენტი ნეგატიურად წარმოაჩინა მაშინ, როცა „კოალიცია ცვლილებისთვის“, „ძლიერი საქართველოს“ და „ერთიანობა საქართველოს გადასაარჩენად“ გაშუქების 50, 54 და 56 პროცენტი შესაბამისად დადებითი იყო. „რუსთავი 2-ზე“ „ერთიანობა საქართველოს გადასაარჩენად“ გაშუქების 66 პროცენტი ნეგატიური იყო, მაშინ როცა „ქართული ოცნების“ გაშუქების 68 პროცენტი დადებითი იყო.

წარმომადგენლებმა არ მიიღეს მონაწილეობა, მას შემდეგ რაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მონაწილეობაზე.

მედიასაშუალებების პოლიტიკური პროპაგანდის ინსტრუმენტად გამოყენება ძირს უთხრიდა ახალი ამბების დამოუკიდებელ გაშუქებას და ამძაფრებდა პოლიტიკურ განხეთქილების რიტორიკას. პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიუკერძოებელი ანალიზის სიმცირე და წამყვანი პოლიტიკური აქტორებისა და პარტიების უარი მონაწილეობა მიეღოთ დებატებში, ამომრჩევლების უზღუდავდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

## ეროვნული უმცირესობათა მონაწილეობა

ეროვნული უმცირესობები ქვეყნის საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ცენტრალურ დონეზე, ნაკლებად არიან წამოდგენილი.<sup>93</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 13 პროცენტს შეადგენენ, ამ არჩევნებზე უმცირესობათა თემებს კანდიდატთა მხოლოდ 5 პროცენტი წარმოადგენდა და კანდიდატთა სიაში ხელსაყრელ პოზიციებზე მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყო. წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა სულ მცირე ერთი შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ პირებს სავარაუდოდ ეთნიკურ უმცირესობაზე მიკუთვნებულობაში დადეს ბრალი და ეს ფაქტი წარმოჩენილი იყო, როგორც დამამცირებელი გარემოება.<sup>94</sup> ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე დაკვირვებისას შენიშვნეს, რომ ამ შეხვედრებზე ეროვნულ უმცირესობებზე გამიზნული კონკრეტული გზავნილები არ გაჟღერებულა და რომ სიტყვით გამომსვლელთა შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი<sup>95</sup>

დადებითად შეფასდა ის ფაქტი, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა საინფორმაციო და საგანმანათლებო მასალები, მათ შორის საარჩევნო ბიულეტინები, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც შეადგინა. თუმცა, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებთა ტრენინგები უპირატესად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა; ალტერნატიულ გზად შეთავაზებული იყო სხვა ენებზე შედგენილი წერილობითი მასალა. ელექტრონული მოწყობილობების

<sup>93</sup> აზერბაიჯანელები (6.3 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი) უმსხვილესი ჯფუფებია. ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ 2024 წელს მომზადებული [მეოთხე მოსაზრება](#) საქართველოს შესახებ ამბობს, რომ „სამთავრობო დონეზე, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი პირები კვლავაც ძალიან იშვიათად ან სრულებით არ არიან წარმოდგენილი ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში [...] მუნიციპალიტეტების ცენტრალური თვითმმართველობის ორგანოებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არაპროპორციულად დაბალია [...] გარდა ორი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა“.

<sup>94</sup> მაგალითად, 11 ოქტომბერს „პოსტ ტე“ ამტკიცებდა, რომ „ძლიერი საქართველო - ლელოს“ ლიდერი სომხური წარმოშობის იყო; სახალხო დამცველმა მაუწყებელი დისკრიმინაციულად შეაფასა.

<sup>95</sup> არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების არეალში მოქცეული წინასაარჩევნო კამპანიებიდან აზერბაიჯანული ენა გამოყენებული იყო „ახალის“ მიერ მცხეთაში გამართულ ღონისძიებაზე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კაბალში გამართულ შეკრებაზე. „ახლამა“ „ქართულმა ოცნებამ“ და „ძლიერი საქართველო - ლელომ“ საგარეჯოში აზერბაიჯანულ ენაზე შედგენილი პლაკატები გამოაკრეს. პარტიამ „საქართველოსთვის“ სააგიტაციო მასალა ახალქალაში სომხურ ენაზე გაავრცელა, „ძლიერი საქართველო - ლელომ“ კი გარდაბანში - აზერბაიჯანულ ენაზე.

მომხმარებელთა ინტერფეისი მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი, რასაც შეეძლო შეეზღუდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა და ამომრჩეველთა შესაძლებლობა უკეთ გარკვეულიყვნენ და ეფექტურად გამოეყენებინათ ეს მოწყობილობები. <sup>96</sup> ეროვნული უმცირესობები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენდნენ. <sup>97</sup>

## საარჩევნო დავების გადაწყვეტა

კანონი საარჩევნო სუბიექტებსა და დარეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საჩივრების შედგენის ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს, ამომრჩევლებს კი მხოლოდ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მონაცემებისა და საარჩევნო უფლებების დარღვევების გასაჩივრება შეუძლიათ. <sup>98</sup> 2022 წლის დეკემბერში საარჩევნო დავებისა გადაწყვეტის ზოგიერთი ვადა გახანგრძლივდა, რაც ნაწილობრივ პასუხობს ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს. <sup>99</sup> თუმცა, საჩივრებისა და სარჩელების განხილვისთვის დადგენილი ვადების უმრავლესობა არ უზუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევათა განხილვის პროცესის ეფექტურობას. <sup>100</sup> მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გათვალისწინებულია დაჩქარებული პროცედურები, სააპელაციო სასამართლო ჩვეული პროცედურებით

<sup>96</sup> 2023 წელს ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ „2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგად დადგინდა, რომ ეთნიკური სომხების 44.5% და ეთნიკური აზერბაიჯანელების 73.9% ცუდად ფლობდნენ სახელმწიფო ენას. ევროპის საბჭოს 2017 წლის ელექტრონული წესით ხმის მიცემის შესახებ რეკომენდაციების 1-ელ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „[...]ლექტრონული სისტემის ამომრჩეველთა ინტერფეისი ადვილად მოსახმარი და გასაგები [უნდა] იყოს, რათა უკლებლივ ყველა ამომრჩეველმა შეძლოს მისი გამოყენება“.

<sup>97</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისიების 1 241 წევრიდან 24 ეთნიკური სომეხი და 1 აზერბაიჯანელია.

<sup>98</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCP) მუხლის 2.3(ა) თანახმად „ნებისმიერი პირს, რომლის უფლებები და თავისუფლებები დაირღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება“. კარგი პრაქტიკის კოდექსის სახელმძღვანელო მითითებების II.3.3.ზ ქვეპუნქტის თანახმად „შესაბამის საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულ ყველა კანდიდატს და ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლება“.

<sup>99</sup> საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მისი მიღებიდან სამი კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისია საჩივარს მისი მიღებიდან ოთხი კალენდარული დღის ვადაში განიხილავს. ODIHR-ის მიერ წარსულში საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით, მათ შორის საარჩევნო დავების დროული, გამჭვირვალე და ეფექტური გადაწყვეტისთვის ყოვლისმომცველი რეფორმების გატარების, ვადების საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან მისადაგებისა და ყველა დავების კოლეგიალური მიდგომით განხილვის, საარჩევნო კომისიების მიერ ღია სხდომების ჩატარებისა და ამომრჩევლებისთვის იურიდიული უფლებების გაფართოების შესახებ გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია კვლავაც გაუთვალისწინებელია.

<sup>100</sup> კანონი ადმინისტრაციულ ორგანებს არჩევნებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დარღვევების განხილვისთვის განსხვავებულ ვადებს უწესებს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 10 დღეს აქვს გამოყოფილი არჩევნებთან დაკავშირებული კონკრეტული საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტისთვის მაშინ, როცა კომუნიკაციების კომისიისთვის დაწესებულია ორდღიანი ვადა. კარგი პრაქტიკის კოდექსის სახელმძღვანელო მითითებათა II.3.3.ზ ქვეპუნქტის თანახმად „საარჩელების შეტანისა და გადაწყვეტისთვის დაწესებული ვადა მოკლე უნდა იყოს (თითოეულისთვის სამიდან ხუთ დღემდე პირველი ინსტანციისთვის)“.

ხელმძღვანელობს.<sup>101</sup> კანონის თანახმად საჩივართა უმრავლესობაზე გადაწყვეტილებას ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა და საოქლო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები იღებენ და არა კომისიათი სრული შემადგენლობები, როგორც კოლეგიური ორგანოები, რაც ასუსტებს მათ სტატუსსა და ნეგატიურად აისახება პროცესის გამჭვირვალობაზე. გარდა ამისა, ძალოვანი სტრუქტურების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა, რომ ისინი ეფექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვიტონ პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხებს, კვლავაც დაბალია.<sup>102</sup> მთლიანობაში, ეს საკითხები ძირს უთხრის სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>103</sup>

კენჭისყრის დღემდე საარჩევნო კომისიებმა უმეტესწილად საარჩევნო სუბიექტებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან 217 საჩივარი მიიღეს საუბნო საარჩევნო კომისიების დანიშნვისა და საქმიანობასთან და ასევე გადასატანი ყუთით ხმის მიმცემთა სიების, ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდოდ ბოროტად გამოყენებისა და წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევის გამო.<sup>104</sup> საარჩევნო ადმინისტრაციაში შესული მხოლოდ 19 საჩივარი განიხილეს ღია სხდომებზე.<sup>105</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგავს საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ შესულ საჩივართა მონაცემთა ონლაინ ბაზას, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობის შენარჩუნებას; თუმცა ადმინისტრაციულ დარღვევათა ყველა ოქმები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ გამოაქვეყნეს ადმინისტრაციულ დარღვევებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები რის მიზეზადაც პერსონალური მონაცემების ამოსაღებად აუცილებელი ადამიანური რესურსების ნაკლებობა დაასახელეს, რაც ეჭვებელი აუცილებელი ადამიანური რესურსების გამჭვირვალობას.<sup>106</sup>

<sup>101</sup> კანონი 10 დღიან ვადას აწესებს პირველი ინსტანციის განჩინების გასაჩივრებისთვის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანად 30 დღე აქვს. მაუწყებლების მიერ ოპზიციური პარტიების პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვებაზე უარის თქმის გამო „მლიერი საქართველოსა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში სასამართლოს საბოლოო განაჩენის მოლოდინში საარჩევნო სუბიეტებს შეეზღუდათ „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე წინასაარჩევო კამპანიის წარმოების შესაძლებლობა.

<sup>102</sup> იხ. აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2022 წლის [დასკვნითი მიგნებები](#). რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ „სახელისუფლებო პარტიის სასამართლო ხელისუფლებაში დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მრავალწლიანი ნაკლებობაა“.

<sup>103</sup> [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10](#) პარაგრაფის მიხედვით „ყველას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური საშუალებები, რათა დაცული იყოს ფუნდამენტური უფლებები და კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპები“. მათგან საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით მომზადდა 15 საჩივარი, რომლებში აღნიშნული იყო მმართველი პარტიასთან კავშირისა და მხარდაჭერის სავარაუდო ფაქტები მაშინ, როცა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალიან ბევრი, 83, საჩივარი მომზადა, უმეტესად იმავე დღეს, შერჩეულ ადგილებში საუბნო საარჩევნო კომისიების დაგვიანებით გახსნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით. 85 საჩივარი შეეხებოდა მათ შორის საარჩევნო წესების სავარაუდო დარღვევებსა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების ფაქტებს. დისციპლინური ზომების გატარება მოთხოვნილი იყო სულ 70 საჩივრით, რომელთაგანაც სამი დაკმაყოფილდა. საჩივართა 60 პროცენტზე მეტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყო მომზადებული.

<sup>105</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია კომისიის განხილვის გარეშე უარი თქვას ნებისმიერი საჩივრის გათვალისწინებაზე; ამ პროცედურის შედეგად საჩივრების უმრავლესობას უარი ეთქვა.

<sup>106</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებულია, რომ ყველა სასამართლო გადაწყვეტილება დეპერსონალიზებული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს ონლაინ.

საჩივრების უმრავლესობას არსებითი განხილვის შემდეგ უარი ეთქვა დაუსაბუთებლობის გამო, ზოგიერთ შემთხვევაში საჩივრის არსი არ ყოფილა ადეკვატურად შესწავლილი. <sup>107</sup> ადმინისტრაციულმა ორგანოებმა წარმოებაში მიიღეს ადმინისტრაციულ დარღვევათა დაახლოებით 50 საჩივარი უმეტესწილად საარჩევნო სუბიექტებისა და მაუწყებლების წინააღმდეგ უფასო საეთერო დროის გამოყოფის წესების დარღვევასთან დაკავშირებით, და დაახლოებით 60 შემთხვევაში ოქმი არ შეუდგენია, უმეტესწილად ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო ბოროტად გამოყენებისა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების წესების დარღვევებზე. ყველა შუამდგომლობა, რომელიც ადმინისტრაციულ ოქმებთან და საარჩევნო სუბიექტებისა და მაუწყებლებისთვის სანქციების დაწესებას შეეხებოდა, სასამართლომ ძალაში დატოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ღია სხდომებზე განიხილა არჩევნებთან დაკავშირებული 50-ზე მეტი დავა; სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული მხოლოდ ორი დავა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სასამართლოს გადაწყვეტილებებმა ნათლად წარმოაჩინა კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანებები და მისი გამოყენების არათანმიმდევრულობა. (იხ. „მედია“ და „წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება“); გარდა ამისა, ზოგიერთ გადაწყვეტილებას აკლდა არსებითი დასაბუთება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, სადაც სამართლებრივი განმარტება საკამათო იყო. <sup>108</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 31 ინციდენტის გამოძიება დაიწყო, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობისა და საკუთრების დაზიანების ფაქტს შეეხებოდა. თუმცა, კენჭისყრის დღემდე არცერთ შემთხვევაზე ბრალის წაყენება არ მომხდარა. პოლიტიკური პარტიის საკუთრებისა და სააგიტაციო მასალის დაზიანების საჯაროდ ცნობილი ზოგიერთი შემთხვევის გამოსაძიებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოკვლევა არ

<sup>107</sup> კენჭისყრის დღისთვის დაახლოებით 40 საქმე განხილვის მოლოდინში იყო. ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ რამდენიმე საჩივარს, განსაკუთრებით საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე, უარი ეთქვა მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის მიერ ფაქტის უარყოფის ან მისი პასუხის საფუძველზე. მაგალითად, საჯარო თანამდებობის პირების ან საარჩევო ადმინისტრაციის წევრების მიერ სოციალური მედიის პირადი ანგარიშების მეშვეობით ონლაინ მმართველი პარტიის მხარდამჭერი აგიტირების სავარაუდო შემთხვევები უარყოფილ იქნა არგუმენტით, რომ აგიტირებას ამ პირების ნაცვლად მათი ოჯახის წევრები ეწერდნენ.

<sup>108</sup> კანონი შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს უფასო საეთერო დროის გამოყოფასთან, მაუწყებლების მიერ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური რეკლამების გაშუქებასთან, წინასაარჩევნო ბლოკების ჩამოყალიბების აკრძალვის და საეთერო დროის „სხვა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო მიზნების სასარგებლოდ“ გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა წინასაარჩევნო კამპანიის ვადების შეუსაბამობასთან ერთად გამოიწვია სამი ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიისა და ექვსი მაუწყებელის ცენტრალური საარჩევნო კომისიის, კომუნიკაციების კომისიისა და სასამართლოების მიერ დაჯარიმება შესაბამისად მმართველი პარტიის წინააღმდეგ მიმართული რეკლამების გაშუქების გამო, რაც ჩაითვალა „სხვა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო მიზნების სასარგებლოდ“ გაწეულ სამსახურად, ანუ დე ფაქტო კოალიციების წევრი, რომელიც საჯაროდ დასახელდა, მაგრამ დე იურე არ არსებობდა. თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისია არ მიჰყევა იგივე არგუმენტაციას იმ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო ბოროტად გამოყენების ფაქტი დაფიქსირდა ისეთი პირის შემთხვევაში, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ სიით იყრიდა კენჭს და არგუმენტად დასახელა შეზღუდვა, რომელიც მხოლოდ კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ამოქმედდებოდა.

დაუწყია, რაც სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ოფიციალური ანგარიშების ნაკლებობით განმარტა. <sup>109</sup>

## არჩევნებზე დაკვირვება

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებსა და ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს არჩევნების მთელ პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს. 2022 წლის დეკემბერში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებმა აამოქმედა ნორმები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებულ პირებს ადგილობრივი დამკვირვებლების რანგში მოქმედებას უკრძალავს; თუმცა ზოგიერთმა დარეგისტრირებულმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა კვლავაც განაგრძო პოლიტიკური მიზნით მოქმედება (იხ. „კენჭისყრის დღე“). <sup>110</sup> ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინკლუზიურად იმოქმედა და დაარეგისტრირა 102 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ჯამში 23 177 დამკვირვებლით და 76 საერთაშორისო ორგანიზაცია და დიპლომატიური წარმომადგენლობა ჯამში 1 592 დამკვირვებლით.

საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ჯგუფმა გრძელვადიანი სადამკვირვებლო ღონისძიებები წამოიწყო და ყურადღება ძირითადად გაამახვილა საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასებაზე, წინასაარჩევნო გარემოზე, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებაზე, საარჩევნო დავების გადაწყვეტაზე და ამ საკითხებთან დაკავშირებით არაერთი ანგარიში მოამზადა. <sup>111</sup> წინასაარჩევნო პერიოდამდე და მისი მიმდინარეობისას სამოქალაქო საზოგადოების ბევრი ორგანიზაციამ განაცხადა, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ მათი საქმიანობის სტიგმატიზაცია გამოიწვია; რამაც კანონშეუსაბამობისთვის დაწესებულ სავარაუდო სანქციებთან ერთად, რაც ჯერჯერობით არ არის ამოქმედებული,

<sup>109</sup> მათ შორის ფიზიკური ძალადობისა და საკუთრების დაზინების შემთხვევები, რომლებიც სხვა შემთხვევებთან ერთად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის კომისიის (IATF) სხდომაზე განიხილეს, რომლის 28 ივნისს დაფუძნდა და რომლის მანდატშიც არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების პრევენცია და მათზე რეაგირება შედის. კენჭისყრის დღემდე კომისიამ ცხრა შეხვედრა გამართა და უმეტესწილად მედიის მეშვეობით გავრცელებული საკითხები განიხილა.

<sup>110</sup> პირი ადგილობრივ დამკვირვებლად ვერ დარეგისტრირდება, თუ ამჟამად საჯარო თანამდებობას იკავებს, წარსულში საარჩევნო კომისიის პარტიის მიერ დასახელებული წევრი ან ბოლოს ჩატარებული ორ საყოველთაო არჩევნებზე საარჩევნო სუბიექტი ან საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი იყო ან თუ ბოლო საყოველთაო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიის შემომწირველი იყო.

<sup>111</sup> „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) აფასებს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს და საარჩევნო გამჭვირვალობას. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (GYLA) ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული მმართველობის საკითხებზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ (TI Georgia) პოლიტიკურ პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს. „საერთო სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვნული საქართველო“ (PMMG) იცავს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების თემებს.

ნებატიური ზეგავლენა იქონია მათ შესაძლებლობაზე, ემუშავათ შეუსაბამო ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში. <sup>112</sup>

## კენჭისყრის დღე

კენჭისყრის დღის ადმინისტრირებამ ზოგადად მოწესრიგებულად ჩაიარა, მაგრამ კენჭისყრის დღე დამაბულობით, ზოგიერთ საარჩევნო უბანზე მოქალაქეთა სიჭარბით და ფიზიკური დაპირისპირებისა და დაშინების რამდენიმე ინციდენტით ხასიათდებოდა.<sup>113</sup> ქალები საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დაახლოებით 73 პროცენტს შეადგენდნენ, მათ შორის 72 პროცენტი იკავებდა თავმჯდომარის პოსტს. ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის გადებული ძალისხმეულის მიუხედავად საარჩევნო უბნების 65 პროცენტი რთულად ხელმისაწვდომი იყო ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, და 38 პროცენტი ინტერიერი შეუსაბამოდ იყო დაგეგმარებული. საარჩევნო უბნების უმრავლესობა დროულად გაიხსნა. შემჩნეული იყო ორგანიზაციული საკითხების, ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმათა დამთვლელი მოწყობილობების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების გამო დაგვიანების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა გახსნის პროცესი დადებითად შეაფასეს დაკვირვების არეალში მოქცეული 223 საარჩევნო უბნიდან 212-ში; პროცედურები უმეტესად დაცული იყო. უარყოფითი შეფასება მოჰყვა პროცედურების არასაკმარის ცოდნას, ან უბნებზე არაუფლემოსილი პირების, მათ შორის კანდიდატთა წარმომადგენლების და ადგილობრივი დამკვირვებლების ყოფნას, რომლებიც კომისიას გახსნის მოსამზადებელ სამუშაოებში უწევდნენ დახმარებას.

ხმის მიცემის პროცესი პროცედურული თვალსაზრისით უმეტესწილად კარგად იყო ორგანიზებული. თუმცა, დაკვირვებების 1,924 შემთხვევის 6 პროცენტში, რაც არსებითად დიდი რიცხვია, პროცესი ნებატიურად შეფასდა, უმეტესწილად ამომრჩევლებზე ზეწოლისა და დაშინებაზე მინიშნების გამო, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში თან ერთვოდა საარჩევნო უბნებს შიგნით წარმოქმნილი დამაბულობა და არეულობა და მოქალაქეთა სიჭარბე. დაკვირვების 24 პროცენტში ხმის მიცემის ფარულობა პოტენციურად კომპრომეტირებული იყო ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტინების ჩაყრით ან 7 პროცენტში საარჩევნო უბნის დადაგეგმარებასთან ან

<sup>112</sup> 24 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად“ გამოაცხადა, რის შედეგადაც ორგანიზაციამ საარჩევნო სადამკვირვებლო აქტივობები შეაჩერა. ორგანიზაციამ სადამკვირვებლო აქტივობები განახლა მას შემდეგ, რაც ანტიკორუფციულმა ბიურომ 2 ოქტომბერს თავისი გადაწყვეტილება გააუქმა. [1990 წლის ეუთოს კოპენგაგენის დოკუმენტის მე-8 პარაგრაფი](#) ამბობს, რომ „წევრ სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ იმ სახელმწიფოები, რომელშიც არჩევნები ტარდება როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი დამკვირვებლების არსებობა საარჩევნო პროცესს აძლიერებს“.

<sup>113</sup> განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელდა შეტყობინებები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მარნეულსა და თბილისში დაშავების შესახებ; ერთ-ერთი შემთხვევის დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთი აქტივისტის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. ხობში, თბილისში, წალენჯიხასა და ზუგდიდში, როგორც ოპოზიციური ისე მმართველი პარტიის მხარდაჭერებმა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებები წამოიწყეს. ოპოზიციურმა პარტიებმა ბათუმში, ბოლნისში, ქუთაისში, ლაგოდეხში, მარტყოფში, მარნეულში, მარტვილში, თბილისსა და ზუგდიდში საარჩევნო უბნების სიახლოეს სავარაუდოდ კრიმინალური ჯაფუფების არსებობის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია. კენჭისყრის დღის დასრულებამდე [პრეზიდენტმა და სახალხო დამცველმა](#) მალოვან სტრუქტურებს დაუყოვნებელი და ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდეს.

მოწყობასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო.<sup>114</sup> მიუხედავად იმისა, რომ კანონს არ ეწინააღმდეგება, საარჩევნო უბნების უმრავლესობაში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, უმეტესწილად „ქართული ოცნებიდან“, ხმის მიცემის პროცესს იწერდნენ. დამკვირვებლების შეფასებით ამ ფაქტს დამაშინებელი ეფექტი ჰქონდა, რადგან კამერები ხშირად პირდაპირ ამომრჩეველთა იდენტიფიცირების მოწყობილობებს ან კენჭისყრის კაბინებს უყურებდა, რაც პოტენციურად აზიანებდა ხმის მიცემის ფარულობას. საარჩევნო უბნების გარეთ უცნობი პირები ამომრჩეველთა აღრიცხვას ეწეოდნენ (10 პროცენტი), საარჩევნო უბნების შიგნით კი პარტიის წარმომადგენლები (7 პროცენტი). საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ანგარიშებში აისახა საარჩევნო უბნების 4 პროცენტში მთელი ოჯახის ან ადამიანების ჯგუფის მიერ ხმის ერთდროულად მიცემა. ზოგიერთ შემთხვევაში, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მიიღეს შეტყობინებები ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო ბრალდებების შესახებ.<sup>115</sup>

დაკვირვების არეალში მოქცეული ზოგიერთ შემთხვევაში პროცედურები არათანმიმდევრულად იყო დაცული - ამომრჩეველთა თითებზე მარკირების რეგულარულად შემოწმება არ ხდებოდა (7 პროცენტი) ან ხმის მიცემამდე მარკირება არ ხდებოდა (4 პროცენტში). ახალი საარჩევნო ტექნოლოგიის დანერგვისა და თითოეულ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა გაზრდილი რაოდენობის გამო პროცესი ზოგჯერ შეფერხებით მიმდინარეობდა საარჩევნო უბნების 40 პროცენტში. ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმის დამთვლელი ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვილ უბნებზე დაკვირვების შემთხვევათა 99 და 98 პროცენტში, შესაბამისად, მოწყობილობები სრულად გამართულად მუშაობდნენ. გამონაკლისი შემთხვევა დაფიქსირდა მხოლოდ დეფექტური მოწყობილობისა და ამომრჩეველთა იდენტიფიცირების მოწყობილობებს შორის მონაცემთა სინქრონიზაციასთან დაკავშირებული იშვიათი ხარვეზების გამო. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საუბნო საარჩევნო კომისიამ იცოდა, როგორ გამოეყენებინა ეს მოწყობილობები 9 პროცენტში ყველა ამომრჩეველს არ მიეცა ადეკვატური ინსტრუქცია ბიულეტენის გაფერადებასა და ხმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. საარჩევნო უბნების 54 პროცენტში ზოგიერთ ამომრჩეველს გაუჭირდა ხმების დამთვლელ მოწყობილობაში ბიულეტენის შეცურება.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საარჩევნო უბნების 97 პროცენტში ესწრებოდნენ საარჩევნო პროცესს, ადგილობრივი დამკვირვებლები კი - 89 პროცენტში, რაც ხელს უწყობდა გამჭვირვალობას. თუმცა, ზოგიერთმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა აღნიშნა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ხელშეშლის ფაქტი, როდესაც მათ შენობაში შესვლას უკრძალავდნენ ან დაკვირვების შესაძლებლობას არ აძლევდნენ. ამის საპირისპიროდ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დაკვირვებათა 28 პროცენტში შენიშნეს, რომ ადგილობრივი დამკვირვებლები საარჩევნო

<sup>114</sup> საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის ფაქტები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ან დამკვირვებლების ხმის დამთვლელი მოწყობილობებისა და კენჭისყრის კაბინების სიახლოვეს დგომას (16 პროცენტი), მოქალაქეთა სიჭარეს (16 პროცენტი), ჩარჩო კონვერტის არასწორ გამოყენებას (9 პროცენტი), არასწორ განლაგებას (8 პროცენტი) და საარჩევნო ბიულეტინზე გაკეთებული მონიშვნის უკანა მხრიდან დანახვის შესაძლებლობას (6 პროცენტი) მიაწერეს.

<sup>115</sup> დამატებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნა, რომ ხმის მიცემის პროცესი გაუქმდა მარნეულში მდებარე ერთ-ერთ საარჩევნო უბანში საარჩევნო ყუთში ბიულეტინების ჩაყრის გამო.

სუბიექტების სახელით მოქმედებდნენ, რაც შეშფოთებას ზრდიდა ადგილობრივი დამკვირვებლების მიუკერძოებლობისა და მათი როლის ბოროტად გამოყენების გამო, რაც არ შეესაბამება ODIHR-ის მიერ გაცემულ უცვლელ რეკომენდაციას. 7 პროცენტში არაუფლებამოსილი პირები, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და ადგილობრივი დამკვირვებლები ხელს უშლიდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ამოწმებდნენ ამომრჩეველთა პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს და დახმარებას უწევდნენ ბიულეტინებთან დაკავშირებულ საკითხებში. ერთ შემთხვევაში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია პირდაპირი დაშინებისა და სატრანსპორტო საშუალების დაზიანების ობიექტი გახდა.

ხმების დამთვლელი მოწყობილობებით აღჭურვილ საარჩევნო უბნებში წინასწარი შედეგები დადგინდა ცალკეული მოწყობილობების დაჯამებული შედეგების გაერთიანებით, რის შემდეგადაც მონაცემები USB მოწყობილობაზე აიტვირთა და პლანშეტის დახმარებით გადაიგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ოფიციალური მონაცემები ყველა საარჩევნო უბნისთვის სავალდებულო ხელით გადათვლის შედეგებს დაეყრდნობა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი უარყოფითად შეაფასეს 193 საარჩევნო უბნიდან 24-ში, რაც პროცედურული შეცდომებით ან საარჩევნო უბნებს შიგნით არსებული დაძაბულობით ან არეულობით იყო განპირობებული. საარჩევნო სუბიექტებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების წარმომადგენლები თითქმის ყველა საარჩევნო უბანში იმყოფებოდნენ (188 და 176 შესაბამისად) და პროცესი გამჭვირვალედ შეფასდა 181 შემთხვევაში. თუმცა, პროცედურების საპირისპიროდ, გადათვლის პროცესის ზედამხედველობის მიზნით ორი დამკვირვებლისა და ორი პარტიის წარმომადგენლის არჩევა არ მომხდარა, შესაბამისად, 49 და 47 შემთხვევაში. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ან ადგილობრივი და სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ პროცესში ჩარევის ფაქტი გამოვლინდა 27 შემთხვევაში. დაფიქსირდა დაძაბულობისა და არეულობის 29 და ხმების დათვლისთვის ხელის შეშლის 7 შემთხვევა.

ხმების დათვლის დროს პროცედურის ეტაპების გამოტოვების, მათ შორის წინასწარ გაწერილი თანმიმდევრობისთვის გვერდის ავლა, დაფიქსირდა 50 შემთხვევაში. საუბნო საარჩევნო კომისიებმა ვერ გააბათილეს გამოუყენებელი ბიულეტინები 40 შემთხვევაში, და ელექტრონული მოწყობილობები პროცედურის დაცვით არ აალაგეს 67 შემთხვევაში. დათვლის პროცესში თითოეულ ბიულეტინზე გაკეთებული არჩევანი ხმამაღლა არ გამოცხადებულა 28 შემთხვევაში. ხმების დამთვლელი მოწყობილობებით აღჭურვილ 38 საარჩევნო უბანზე სავალდებულო ხელით გადათვლამ ხმის დამთვლელ მოწყობილობასთან მიმართებით მცირე ცდომილება აჩვენა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 23 შემთხვევაში ხელით გადათვლის დროს ხმის ვალიდურობა არ იყო სრულად, რეგულაციების შესაბამისად, განსაზღვრული და არათანმიმდევრული იყო 21 შემთხვევაში. გარდა ამისა, სადავო ბიულეტინების ვალიდურობა არ იყო კენჭისყრით განსაზღვრული დაკვირვების 80 შემთხვევაში. შედეგების ოქმებში გადატანასთან დაკავშირებული სირთულეები აღირიცხა 31 შემთხვევაში, რასაც 6 შემთხვევაში მანამდე დასრულებული საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებში რიცხვების ცვლილებები მოჰყვა. ცდომილებების დათვლის შედეგად შესწორება ან ხელახალი გადათვლა მოითხოვეს 42 შემთხვევაში. 37 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიებმა საჯაროდ არ გამოაკრეს საბოლოო შედეგების ოქმის ხელმოწერილი ასლი, რაც ზღუდავს გამჭვირვალობას.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების ოქმებისა და საარჩევნო მასალების დამუშავების ეტაპის დასაწყის 73-ვე საარჩევნო ოლქზე დაკვირდნენ, რაც ზოგადად დადებითად შეფასდა. პროცედურული ეტაპების გამოტოვების შემთხვევები აღირიცხა 6 დაკვირვების დრო, გადაცემული მასალების მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები აღირიცხა 17 დაკვირვების დროს, შეუსაბამო შენობების შემთხვევა გამოვლინდა 8 შემთხვევაში, მოქალაქეთა სიჭარბე კი - 6 შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ უბნების დონეზე მიღებული შედეგების დაჯამება საოლქო საარჩევნო კომისიების ამოცანას წარმოადგენს, წევრებმა 9 შემთხვევაში არ განახორციელეს შედეგების ოქმების სიზუსტისა და სისრულის გადამოწმება, 5 საოლქო საარჩევნო კომისიას საერთოდ არ შეუსრულებია ეს პროცედურა, არგუმენტად კი მიუთითა, რომ ოფიციალურ შედეგების საბოლოო გაფორმება ეროვნულ დონეზე ხდება. საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებში უზუსტობების არსებობის ფაქტი 10 საოლქო საარჩევნო კომისიაში დაფიქსირდა.

კენჭისყრის დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებმა დამკვირვებელთა ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან 439 საჩივარი მიიღეს, რომლებიც საარჩევნო უბნების დაგვიანებით გახსნას, მრავლობითი საარჩევნო ბიულეტინების გაცემის სავარაუდო ფაქტებს, ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლებისთვის უფლებების შეზღუდვას, ხმის ფარულობის დარღვევას, პროცედურულ დარღვევებს, გადასატანი ყუთით ხმის მიცემას, სახარჯი მასალის ნაკლებობას, ელექტრონული მოწყობილობების გაუმართაობას, ვიდეო გადაღებას, საარჩევნო უბნებში, უბნებს გარეთ ან მათ სიხლოვეს წინასაარჩევნო კამპანიის მასალების არსებობას შეეხებოდა. ხმის მიცემის პროცესის დასრულებისთვის ყველა საჩივრის განხილვა დაწყებული იყო. ხმის მიცემის დასრულების შემდეგ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხმების დამთვლელი აპარატებით აღჭურვილი საარჩევნო უბნებიდან ელექტრონულად მიღებული ნაწილობრივი შედეგების გამოქვეყნება დაიწყო და ამ საარჩევნო უბნების 90 პროცენტიდან შედეგების მიღების შემდეგ წინასწარი შედეგების შესახებ განცხადება 21:45 სთ-ზე გააკეთა.

**წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.  
არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე**

## ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლობელი სიტყვა

თბილისი, 2024 წლის 27 ოქტომბერი - წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა (ODIHR) და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. ამ შეფასების მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამებოდა საარჩევნო პროცესი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას.

ბ-ნი პასკალ ალიზარდი ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ სპეციალურ კოორდინატორად და ეუთოს მოკლევადიან დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელად დანიშნა. ქ-ნი პია კაუმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ბ-ნი იულიან ბულაი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, ბ-ნი ანტონიო ლოპეს-ისტურის უათი - ევროპარლამენტის დელეგაციას, ბ-ნი ფაივ ოზტრაქი კი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი იყო. ბ-ნი ოუენ მერფი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობდა, რომელიც 11 სექტემბერს შეუდგა მუშობას.

წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე მომზადდა. არჩევნების საბოლოო შეფასება ნაწილობრივ საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების, მათ შორის ხელმძღვანელობდა და შედეგების გამოცხადებაზე და, ასევე, არჩევნების დღის შემდეგ მოსალოდნელი საჩივრებისა და სარჩელების განხილვაზე იქნება დამოკიდებული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს საარჩევნო პროცესის დასრულებიდან რამდენიმე თვეში გამოაქვეყნებს, რომელშიც მოცემული იქნება რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების პოტენციური გზების შესახებ. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს მომდევნო პლენარულ სხდომაზე წარმოადგენს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა კი - შემდეგ პლენარულ სხდომაზე. ევროპარლამენტი თავის ანგარიშს საგარეო საქმეთა კომიტეტის DEG შეხვედრაზე წარადგენს. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა კი 24 ნოემბერს ქ. მონრეალში გამართულ მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე წარმოადგენს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას დედაქალაქში 18 ექსპერტი, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი 30 გრძელვადიანი დამკვირვებელი წარმოადგენდა. კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურებს დააკვირდა 42 ქვეყნის წარმომადგენელი 530 დამკვირვებელი, მათ შორის ODIHR-ის 30 გრძელვადიანი და 332 მოკლევადიანი დამკვირვებელი და ასევე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 60-წევრიანი დელეგაცია, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 39-წევრიანი დელეგაცია, ევროპარლამენტის 12-წევრიანი დელეგაცია და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 38-წევრიანი დელეგაცია. გახსნის პროცედურებს დააკვირდნენ 223 საარჩევნო უბანში, ხმის მიცემის პროცესს - 1 924 საარჩევნო უბანზე ქვეყნის მასშტაბით, დათვლას - 193 საარჩევნო უბანზე და დაჯამებას კი 73 საოლქო საარჩევნო უბანში.

დამკვირვებლებს სურთ, მადლობა გადაუხადონ ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის; გარდა ამისა, დამკვირვებლებს სურთ, მადლობა გადაუხადონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული დახმარებისთვის. დამკვირვებლები ასევე მადლიერებას გამოხატავენ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მიმართ გაწეული თანამშრომლობისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

- ოუენ მერფი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი თბილისში ([eoghan.murphy@odihr.ge](mailto:eoghan.murphy@odihr.ge));
- კატრია ანდრუში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის პრესსპიკერი (ტელ: +48 609 522 266) ან ქსენია დაშუცინა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო კონსულტანტი, ვარშავა ([kseniya.dashutsina@odihr.pl](mailto:kseniya.dashutsina@odihr.pl));
- ანა დი დომენიკო, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის კომუნიკაციებისა და პრესის ოფიცერი: [anna.didomenico@oscepa.dk](mailto:anna.didomenico@oscepa.dk) ან +45 60 10 83 80;
- სილვი აფოლდერი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის არჩევნების განყოფილების ხელმძღვანელი: [Sylvie.AFFHOLDER@coe.int](mailto:Sylvie.AFFHOLDER@coe.int) ან +995 591926635
- კრისტინა კასტანიოლი, განყოფილების უფროსი, ევროპარლამენტი (ტელ: +32 470880872);
- სვიტლანა სვიეტოვა, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მრჩეველი (ტელ: +3225048150).

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი

სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია“

პირველი რესპუბლიკის მოედანი 1, მე-3 სართული

0108 თბილისი, საქართველო

ტელ: + 995 555 245 616